


ჭექა - ქუსილი  
დრამა სუთ მოქმედებად



## მოქმედნი პირნი:

- საველი პროკოფიევიჩი დიკოი—ვაჭარი, ქალაქის წარჩინებული პირი.  
ბორის გრიგორიევიჩი—მისი დისწული, ახალგაზრდა კაცი, საკმაოდ განათლებული.  
მარფა იგნატიევნა კაბანოვა (კაბანიხა)—მდიდარი ვაჭრის ქვრივი.  
ტიხონ ივანოვიჩი კაბანოვი—მისი შვილი.  
კატერინა—მისი ცოლი.  
ვარვარა—ტიხონის და.  
კულიგინი—მდაბიო, თვითნასწავლი მესაათე, პერბეტუმ-მოზილეს მადი-ებელი.  
ვანია კულდრიაში—ახალგაზრდა კაცი, დიკოის კანტორაში მოსამსახურე.  
შაპკინი—მდაბიო.  
ფეკლუშა—მწირი.  
გლაშა—მოსამსახურე გოგო კაბანოვების ოჯახში.  
ქალბატონი—თავისი ორი ლაქიით, მოხუცი დედაკაცი 70 წლისა, ნახევრად შეშლილი.  
ქალაქის მცხოვრებნი ორთავე სქესისა.  
მოქმედება წარმოებს ქალაქ კალანოვოში, ვოლგის პირას, ზაფხულის თვეებში.  
მესამე და მეოთხე მოქმედებას შორის 10 დღე გადის.

<sup>1</sup> ბორისის გარდა ყველას რუსული ტანსაცმელი აცვია.

## მოქმედება პირველი

ვოლგის მაღალ ნაპირას საზოგადო ბაღი. ვოლგის გაღმა სოფელი მოსჩანს. სცენაზე 2 მერხი და რამდენიმე ბუჩქი.

### გამოსვლა 1-ლი

კულიგინი მერხზე ზის და გასცქერის მდინარეს. კულდრიაში და შაპკინი სვირნობენ

კულიგინი — (მღერის). „სწორ ველებს შორის, გლუვ სიმაღლეზე“... (შეწყვიტა სიმღერა). სასწაულია, სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, რომ მართლაც სასწაულია! კულდრიაში, ჩემო ძმობილო! ორმოცდაათი წელიწადია გავცქერი აქაურობას და მაინც ვერ გავმძლარვარ მისი მშვენებით.

კულდრიაში — ვითომ რათაო?

კულიგინი — არაჩვეულებრივი სანახაობაა! მშვენიერება! სულს უხარია!

კულდრიაში — რა ბედენა!

კულიგინი — აღტაცებაში მოგიყვანს ადამიანს! შენ კი ამბობ „რა ბედენაო!“ არ გესმის რა სილამაზეა ჩაქსოვილი ამ ბუნებაში.

კულდრიაში — რა თქმა უნდა, შენ ვინ შეგედრება! შენ ჩვენი ჭკუის კოლოფი ხარ, ქიმიკოსი.

კულიგინი — მექანიკოსი, თვითნასწავლი მექანიკოსი.

კულდრიაში — სულერთია. (დუმბილი).

კულიგინი — აბა ერთი გახედე, ძმაო კულდრიაში, ვინ არის ის, იქ ხელებს ასე თავგამეტებით რომ იქნევს.

კულდრიაში — ისა? ის დიკოია. დისწულს თუ ტუქსავს.

კულიგინი — კარგი ადგილი კი შეურჩევია!

კულდრიაში — ადგილს ის რას დაგიღვეს. ერთბაშად ვინ-

მეს არ მოერიდოს! ბორის გრიგორიევიჩი მსხვერპლად ხვდა და ისიც ღდინს აცლის.

შაპკინი — აღამიანის ისეთს გამათხნავს, ისეთს მიწასთან გამასწორებელს, როგორიც საველ პროკოფიევიჩია, სანთლითაც რომ ეძებო, ვერსად იპოვი. შეურაცხყოფას სრულიად უმიზეზოდ მოგაყენებს.

კუდრიაში — ერთობ გამგმირავი ყაზახია!

შაპკინი — ეს კაბანიხაც კარგი უქნია ღმერთს.

კუდრიაში — სწორია, მაგრამ ის, ყოველ შემთხვევაში, ღეთის მოშიშობისა და კეთილმისახურების რიდეს მაინც ეფარება. ეს კი აწყვეტილი მხეცია.

შაპკინი — გამთოკავი არავინ ჰყავს და რა ენაღვლება. ისიც ბობოქრობს!

კუდრიაში — ცოტანი არიან ჩემი ყაიდის ბიჭები, თორემ, იცოცხლე, მე მაგ უფოთვას გადავაჩვევდი.

შაპკინი — მაინც რას იზამდი?

კუდრიაში — ანგელოზებს დაფუტრთხოვდი.

შაპკინი — როგორ?

კუდრიაში — როგორ და, ოთხნი საღმე მოსახვევში პირისპირ მოველაპარაკებოდით; მაშინ ნახავდი, როგორ მოთვინიერდებოდა, ხოლო ჩვენგან მიცემული გაკვეთილის შიშით კრინტსაც ვერ დაძრავდა, დაფეთებული სულ უკან-უკან ხედვით ივლიდა. (სიცილი).

შაპკინი — ტყუილად როდი უნდოდა მას შენი სალდათად გადაცემა.

კუდრიაში — უნდოდა, მაგრამ ვერ გადამცა, არაფერი გამოუვიდა. ვერც გადამცემს. ყნოსვით გრძნობს, რომ ჩემ თავს იაფად არ დაფუტობ. ეს თქვენ გეშინიათ მისი, თორემ მე ვიცი, როგორც უნდა ველაპარაკო.

შაპკინი — ვითომ?

კუდრიაში — რა ვითომ? შენც იცი როგორი უკმეხი ვარ! აბა ერთი იკითხე, რათ არ მიშორებს თავიდან? ვპირდები და იმიტომ. რახან ასეა არც მეშინია. თვითონ იქონიოს ჩემი შიში.

შაპკინი — განა შენ არ გათახავს ხოლმე?

კუდრიაში — როგორ არა! უამისოდ მას სუნთქვაც არ შეუძლია, მაგრამ არც მე ვრჩები ვალში: ერთს მეტყვის, პასუხად ათასს მივახლი. გადააფურთხებს და წავა. არა, ქედს მას არასგზით არ მოეუხრი.

კულიგინი — მაგალითი მისგან როდი უნდა აიღო! მოთმინება სჯობს!

კუდრიაში — რაკი ასეთი ქვეიანი ხარ, ჯერ მას ასწავლე ზრდილობიანი ქცევა და მერე ჩვენ! მწყინს, რომ ქალიშვილები ჯერ მოზარდნი არიან და არც ერთი მათგანი მოწიფული არ არის.

შაპკინი — თორემ რას იზამდი?

კუდრიაში — მეტი პატივით მოვექცეოდი. (სიცილი). მუსრს ვავლებ გოგოებს!

(ჩაივლიან დიკოი და ბორისი. კულიგინი ქუდს უხდის).

შაპკინი — განზე მივდგეთ, თორემ შეიძლება აგვიხიროდეს კიდევ. (ადგილებს გადაინაცვლებენ).

## გამოსვლა მე-2

ივინი, დიკოი და ბორისი

დიკოი — შენ აქ საცუდლუტოდ ხარ ჩამოსული, სხვა არაფერი სათვის, მუქთახორავ! აი, შენ კი გაქრი, გაქრი და ამოიბუგე!

ბორისი — დღეს ხომ უქმეა, შინ რა უნდა ვაკეთო!

დიკოი — თუ სურვილი გაქვს, საქმეს ყოველთვის გამოიხაზე. არაერთხელ მითქვამს შენთვის: „არ გაბედო და გზაზე არ შემომეფეთო მეოქი“, შენ მაინც ვერ ისვენებ! ადგილი არ გყოფნის? სადაც წავალ, იქ ამეტუხები! ფუი, შენ დაგწყევლა ღმერთმა! რას დარჭობილხარ სარივით, შენ გეუბნებიან თუ არა?

ბორისი — ჰოდა, მეც გისმენთ, სხვა რა უნდა ვქნა!

დიკოი — დამეკარგე აქედან! ლაპარაკიც არ მსურს შენისთანა იეზუიტთან! (წასვლას აპირებს). ნეტა ვიცოდე, რას ამეკვიატა! (გააფურთხებს და წავა).

კულიგინი, ბორისი, კუდრიაში და შაკკინი

კულიგინი — რა საქმეებით ხართ, პატივცემულო, მასთან დაკავშირებული, ვერაფრით ვერ მივხვდარვართ? რა გაცხოვრებთ მასთან, ან როგორ იტანთ ამდენ ლანძღვა-გინებას?

ბორისი — რას იხამ, კულიგინ, იძულებული ვარ.

კულიგინი — ნება მიბოძეთ გკითხოთ, ვინ ან რამ გაიძულათ ასეთ სატანჯველში ჩაგვდოთ თავი? თუ შეიძლება გვითხარით, ნუ დაგვიმალავთ.

ბორისი — რატომაც არა, მოგახსენებთ. ჩემს ბებიას, ანფისა მიხაილოვნას, ხომ იცნობდით?

კულიგინი — როგორ არა!

კუდრიაში — ვიცნობდით, როგორ არა!

ბორისი — მამაჩემი მან იმიტომ ამოიჩემა, რომ კეთილშობილი ქალი შეირთო. სწორედ ამ მიზეზების გამო იყო, რომ ჩემი მშობლები მოსკოვში ცხოვრობდნენ. დედაჩემს სამი დღეც ვერ გაუძლია მამაჩემის მშობლებთან, ვერ შეთვისებია მათ.

კულიგინი — ცხადია ვერ შეეთვისებოდა. ძნელი და მძიმე ასატანი იქნებოდა ყოველივე ეს მისთვის.

ბორისი — მოსკოვში კარგად გვზრდიდნენ მშობლები, არაფერს არ იშურებდნენ ჩვენთვის. მე კომერციულ აკადემიაში მიმაბარეს, ჩემი და — პანსიონში. უეცრად დედამა შავმა ჰირმა დახოცა და ჩვენც მოულოდნელად დაგობლდით. შემდეგ გავიგეთ, რომ აქ ბებიაც მომკვდარა და ანდერძი დაუტოვებია, როცა სრულწლოვანი შევიქნებოდით ბიძა ჩვენი მემკვიდრეობიდან კუთვნილ წილს გვარგუნებდა, მხოლოდ ერთის პირობით.

კულიგინი — რა პირობით?

ბორისი — თუ ჩვენ მოწიწებით და პატივისცემით მოვექცეოდით მას.

კულიგინი — ეს იმას ნიშნავს, რომ მემკვიდრეობას თქვენ ვერასოდეს ვერ ეღირსებით.

ბორისი — ეს კიდევ ცოტაა, კულიგინ! ის ჯერ გაიბღინდება, ყოველნაირად დაგვამცირებს და, როცა გულს ჩვენი ლანძღვით მოიჯერებს, ან სულ არაფერს მოგვეცემს, ან ცოტა რასმეს წამოგვივადებს. ამის შემდეგ ქვეყანას ქაქანით შეაჯერებს, რომ ისიც სამადლოდ მოგვეცა, თორემ ნამდვილად არაფერი არ გვეკუთვნოდა.

კუდრიაში — ჩვენს ვაჭრებს ასეთი ადათი აქვთ. დიდის მოწიწებით და პატივისცემითაც რომ მოეპყრათ, რა ბედენაა მისთვის განაცხადოს, რომ მას უპატივცემულოდ ექცეოდით.

ბორისი — რა თქმა უნდა, ის ახლაც ჩაილაპარაკებს ხოლმე თავისთვის: „მე ჩემი შვილები მყავს, სხვას რათ უნდა მიეცე ფულეობა? ჩემს შვილებს რათ უნდა დავაკლოო?!“

კულიგინი — გამოდის, ცუდად ყოფილა თქვენი საქმე.

ბორისი — მართო რომ ვიყო, არ დავეძებ! ყველაფერს მივატოვებდი და სადმე წავიდოდი, მაგრამ ჩემი და მეცოდება. იმასაც ეპატიუებოდა იგი აქეთ, მაგრამ დედის ნათესავებმა არ გამოუშვეს... მოსწერეს, ავად არისო. ჯოჯოხეთში ჩავარდებოდა პირდაპირ. ამისი წარმოდგენაც შემზარავია.

კუდრიაში — თავისთავად ცხადია. განა მან აღამიანის ყადრი იცის?

კულიგინი — ერთი ეს მიბრძანეთ: რა პირობით ან რა მდგომარეობაში ცხოვრობთ მასთან?

ბორისი — არავითარი პირობით: „ჩემთან იცხოვრე, მითხრა, აკეთე ის, რასაც გიბრძანებო, ჯამაგირს იმდენს მიიღებ, რამდენსაც დაგინიშნაო“, ესე იგი, ერთი წლის შემდეგ გამისწორებს ანგარიშს ისე, როგორც მას მოეპრიანება.

კუდრიაში — დიახ, მას ასეთი წესი აქვს. ჯამაგირზე კრინტს ვერც ერთი ჩვენგანი ვერ დასძრავს. თუ ხმა ამოიღე, გაგთათხავს: „შენ რა იცო რა მაქვს აზრადო? შეიძლება ისეთ გუნებაზე მოვიდე, რომ ხუთი ათასი მოგცეო“. მოდი და ელაპარაკე ამის შემდეგ. ის კი ნამდვილად ვიცი, რომ ასეთ გუნებაზე ის ჯერ არავის არ უნახავს.

კულიგინი — რა გეწყობა, უნდა ეცადო როგორმე გული მოუგო.

ბორისი — საქმეც ის არის, კულიგინ, რომ ეს ყოველად

შეუძლებელი რამ არის. ეს მისიანებსაც ვერ მოუხერხებიათ და მე რას გავხდები.

კუღრიაში — ვის შეძლია მისი გულის მოგება, თუ მთელი თავისი ცხოვრება ლანძღვა-გინებაზე აქვს დაფუძნებული? სულ ფულის თაობაზე კი მოსდის ეს. არცერთი ანგარიშის გასწორება არ ხდება ისე, ლანძღვა-გინება რომ არ მოჰყვეს. ზოგიერთი მზად არის თავისი ცხიხარულით დაუთმოს, ოღონდ იგი დაშოშმინდეს. ჭირი და უბედურება მაშინ არის, თუ დიდიდანვე გააჯავრა ვინმემ! მთელი დღე ყველას სულს უწუხებს.

ბორისი — ბიცოლა ყოველ დღით ცრემლმორეული ეხვეწება ყველას: „ღვთის გულისათვის, არ გააჯავროთ! გეთაყვა, არ გააჯავროთ!“

კუღრიაში — არა, მას თავს ვერასგზით ვერ დააღწევ. ბაზარში თუ მოხვდა სადმე. საქმე გათავებულა! ყველას გათათხავს, გააბიაბრუებს! საქონელი ზარალით რომ მისცე, გაულანძღავად მაინც არ გაგიშვებს. მერე მთელი დღე ასეა მომართული ჩანხაბივით.

შაპკინი — ერთი სიტყვით, მებრძოლი პიროვნება!

კუღრიაში — და მერე როგორი!

ბორისი — უბედურება თქვენ მაშინ ნახეთ, თუ ისეთმა კაცმა აწყენინა, რომელსაც გინებას ვერ გაუბედავს. ვაი შინაურების ბრალი მაშინ!

კუღრიაში — ღმერთო! ერთხელ რამდენი ვიცინეთ!.. ვოლგაზე ვიღაც გუსართა ოფიცერმა შეუკურთხა. აი, სასწაული ეს იყო.

ბორისი — სამაგიეროდ რა დღე დაადგათ მაშინ შინაურებს! ორი კვირის განმავლობაში ყველა სხვენსა და საკუჭნაოში იმაღებოდა.

კულიგინი — რა არის ეს? სალამოს ლოცვიდან თუ ბრუნდება ხალხი? (რამდენიმე კაცი გაივლის სკენის სიღრმეში).

კუღრიაში — წავიდეთ, შაპკინ, ლხინში გავერიოთ, ტყუილად აქ რას უდგებარ? (გამოემშვიდობებიან და წავლენ).

ბორისი — ეჰ, კულიგინ, ძალიან მიმიძის აქ ცხოვრება! ვერაფრით აქაურობას ვერ შევეთვისე! ყველანი როგორღაც

აღმაცერად მიცქერიან, თითქოს ზედმეტი ვინმე ვიყო, თითქოს ხელს ვუშლიდე ვინმეს. აქაური ზნე-ჩვეულების არა ვაცი რა. მკსმის, კარგად მესმის, რომ ყოველივე ეს ჩვენებურია, მშობლიური, რუსული, მაგრამ მაინც ვერ შევეთვისე.

კულიგინი — ვერც ვერასოდეს შევეთვისებთ.

ბორისი — რატომ?

კულიგინი — მკაცრი ზნე-ჩვეულებაა ჩვენს ქალაქში, მეტად მკაცრი! ქალაქის მოსახლეობაში, ასე ვთქვათ, მდაბიო ხალხში, უხეშობისა და შიმშილ-სიღატაკის მეტს ვერაფერს ნახავ. და ჩვენ ვერასოდეს თავს ვერ დავაღწევთ ამ ქერქს, ვერ ამოვძვრებით იქიდან. იმიტომ, რომ პატიოსანი შრომით დღიურ საზრდოზე მეტს ვერასოდეს ვერ იშოვი. ხოლო ვისაც ფული აქვს, ჩემო ბატონო, ის ლაობის დამონებას ცდილობს, რომ მისი მუქტი შრომით მეტი ფული მოიგოს. იცით, ბიძათქვენმა, საველ პროკოფიჩმა, ქალაქის უფროსს რა უპასუხა? გლუხებმა ქალაქის უფროსთან იჩივლეს, წესიერად არ გვისწორდებაო. ქალაქის უფროსი ეუბნება მას: „საველ პროკოფიჩ, გლუხებს ხეირიანად გაუსწორდი, თორემ ყოველდღე ჩემთან დადიან საჩივლელოდო!“ ბიძათქვენმა ქალაქის უფროსს მხარზე ხელი წაუთათუნა და უპასუხა: „ღირს კი, თქვენო მაღალკეთილშობილება, რომ მე და თქვენ ამ უმნიშვნელო ამბებზე ვილაპარაკოთ? წლიდან წლამდე ჩემს ხელში უამრავი ხალხი გაივლის, აბა რა ბედენაა კაცზე თითო კაპეიკი თუ ვიშოვე, ერთი კაპეიკი დავაკელი? მე ამით ათასები მიგროვდება, რა არის ამაში ცუდიო?“ ასეა, ჩემო ძვირფასო! ერთმანეთში კი როგორ ცხოვრობენ? ვაჭრობაში ხელს უშლიან ერთმანეთს არა თავისი მოგებისათვის, ერთმანეთის შურით და მტრობით. აბეზღებენ ერთმანეთს; შეიტყუებენ თავიანთ მაღალთაღიან სახლში მთერალ მოხელეებს, ისეთებს, რომლებსაც უკვე ადამიანის იერიც დაკარგვიათ, ჰოდა, სულ მცირე რამ მოჰყალბისთვის, ბოროტ შარებსა და ხრიკებს სთხზავენ ღერბიან ქალაქზე მოყვასთა წინააღმდეგ. ჰოდა, ჩემო ბატონო, დაიწყება გამოძიება, სასამართლო და ბოლო არ უჩანს ამ დავიდარებას. დაძრწიან სასამართლოდან სასამართლოში და ასე საგუბერნიო ქალაქამდე მიიღწევენ, სა-

დაც მათ უკვე მოელიან, სიხარულით ხელებს ისრესენ. ენა ადვილად იტყვის, მაგრამ საქმე კი ძნელად კეთდება; ატარებენ, ათრევენ, აწანწალებენ და იმათაც სწორედ ეს უნდათ. ისინი კმაყოფილნიც არიან ამ წანწალით და ამბობენ: „მართალია, ხარჯი მომივა, მაგრამ ფასად იმასაც დაუჯდებაო“. მინდოდა ყოველივე ეს ლექსად გამომეთქვა...

ბორისი — განა ლექსებიც გეხერხებათ?

კულიგინი — ძველებური ლექსი. მრავალჯერ წამიკითხავს ლომონოსოვი, დერჟავინი... ბრძენი იყო ლომონოსოვი, ბუნების მცოდნე... მერე, ჩვენსავით უბრალო კაცის შვილი იყო, დაბალი წოდების.

ბორისი — მერე და რად არ დასწერეთ? საინტერესო იქნებოდა.

კულიგინი — როგორ შეიძლება! შემქამენ, ცოცხლივ ჩამყლაპავენ. ისედაც საქმაოდ მხედება ყბედობისათვის, მაგრამ მაინც ვერ მომაშლევინეს, მიყვარს მასლაათი! აი, საოჯახო ცხოვრების ამბავი მინდოდა თქვენთვის მეთქვა, მაგრამ სხვა დროსთვის გადავდოთ, თუმცა ძალზე საგულისხმიერო ამბავია.

(შემოდინან ფეკლუშა და ვილაც ქალი).

ფეკლუშა — მშვენიერებაა, ჩემო კარგო, ყველაფრით შემკული მშვენიერება. თვალით უნახავი და ენით გამოუთქმელი მშვენიერება, თითქოს აღთქმულ ქვეყანაში ცხოვრობდე! ვაჟრებიც ღვთის მოშიშარნი, სათნონი და ღვთის მადლით შემკულნი არიან! გულუხვნი და მოწყალენი! ისეთი კმაყოფილი ვარ, შვილო ჩემო, ისეთი კმაყოფილი ყოველივე ამით, რომ ჩემი სიხარული ვერც გამომიტქვამს! ჩვენდამი მოწყალეობისა და გულმხურვალეობისათვის დმერთმა სიკეთე და ბარაქანო მოაკლოს მათ, განსაკუთრებით სახლსა კაბანოვებისასა. (გადიან).

ბორისი — კაბანოვების?

კულიგინი — პირწავარდნილი ფარისეველია! მათხოვრებს ელოლიაება, ასაჩუქრებს და შინაურებს კი ცოცხლივ სჭამს. (დუმბილი). ეჰ, ნეტავ ერთი ის პერპეტუუმ-მობილე აღმომეჩინა და!

ბორისი — რას იზამდით?

კულიგინი — როგორ თუ რას ვიზამდი! ინგლისელები ხომ მილიონს იძლევიან ამაში; მთელ ფულს საზოგადოებას მოვახმარდი. გაჭირვებულებს, მდაბიო ხალხს დაეხმარებოდი. მეშინობას საქმე უნდა გაუჩინო, თორემ აბა ეს რას გავს? ხელები აქვთ, საქმე კი არა.

ბორისი — იმედი გაქვთ, რომ პერპეტუუმ-მობილეს ოდესმე აღმოაჩენთ?

კულიგინი — უსათუოდ, მხოლოდ მოდელისათვის ფული მაქვს საშოვნელი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! (გადის).

#### გამოსვლა მე-4

ბორისი (მარტო)

ბორისი — ცოდვია, რათ უნდა დაეუკარგო იმედი! რა კარგი აღამიანია! ოცნებობს თავისთვის და ბედნიერია. მე კი, როგორც სჩანს, ამ მიყრუებულ ადგილას უნდა ჩავლუპო ჩემი ახალგაზრდობა. ისედაც გულმოკლული დავდივარ და თავში ის სისულელე მაინც მილიტინებს! რას ამეკვიატა! რა ჩემი საქმეა სიყვარული? კაცი დაჩაგრული, გაოგნებული ვარ და ამ დროს ბრიყულმა სიყვარულმა გამიტაცა. მერე და ვინ შემეყვარდა? ქალი, რომელთან დალაპარაკებაც ვერ მომიხერხებია! (დუმბილი). მაგრამ მასზე ფიქრს ვერაფრით რომ ვერ ვიშორებ! აი, ისიც! ქმარს მოჰყვება, დედამთილიც მასთანაა! განა ბრიყვი არა ვარ? შეავლე თვალი ქურდულად და შინ წადი. (მიდის. მეორე მხრიდან შემოდინან კაბანიხა, კაბანოვი, კატერინა და ვარვარა).

#### გამოსვლა მე-5

კაბანიხა, კაბანოვი, კატერინა და ვარვარა

კაბანიხა — თუ გინდა დედის დამჯერე იყო, როგორც კი ჩახვალ, ისე მოიქვეც როგორც დაგარიგე.

კაბანოვი — განა შეიძლება, დედიკო, რომ არ დაგიჯეროთ!

კაბანიხა — ახლა უფროსებს მაინცდამაინც პატივს არ სცემენ.

ვარვარა — (თავისთვის). შენ ვინ გაგიბედავს ამას!

კაბანოვი — დედიკო! თქვენ დაუკითხავად მე ხომ ნაბიჯიც არ გადამიდგამს.

კაბანიხა — დაგიჯერებდი, ჩემო კარგო, დაგიჯერებდი, რომ ჩემის თვალთ არ ვხედავდე, ჩემის ყურით არ მესმოდეს, როგორი პატივისცემითაც ეპყრობიან შვილები თავის მშობლებს! ის მაინც გახსოვდეთ, რამდენი ვაივავლახი და გასაქირი გვაქვს გამოვლილი დედებს შვილების გამო.

კაბანოვი — მე, დედიკო!..

კაბანიხა — მშობელი თუ ზოგჯერ გაწყენინებს, უნდა იტანო კიდევ! შენ როგორ ფიქრობ?

კაბანოვი — განა ყოფილა შემთხვევა, რომ თქვენგან ყველაფერი არ ამეტანოს?

კაბანიხა — დედა ბებერია, ბრიყვია, თქვენ კი ახალგაზრდები, ჭკვიანნი ხართ და უნდა გვაპატიოთ ჩვენი სიბრიყვე.

კაბანოვი — (განზე. ამოოხვრით). უი, ღმერთო! (დვდას). მაგის ფიქრს როგორ გავბედავთ, დედიკო!

კაბანიხა — მშობლებს უყვარხართ და იმიტომაც არიან თქვენდამი ვგრე მკაცრნი; სიყვარულითვე გტუქსავენ და სულ იმის ფიქრში არიან, რომ სწორ გზაზე როგორმე დაგაყენონ. ჰოდა, ახლა ეს ზოგიერთებს არ მოსწონს. ახლანდელი შვილები საქვეყნოდ ლაყბობენ, რომ დედა ბუზღუნაა, რომ საშველს არ იძლევა, გვსპობს, გვანადგურებს, სიცოცხლეს გვიმწარებსო. ღმერთმა დაგიფაროს, თუ მცირედი რამ სიტყვით რძალს ვერ აამე, დაიწყებენ ქაქანს, რომ დედამთილი რძალს ცოცხლად სკამსო.

კაბანოვი — რას ამბობთ, დედიკო, ვინ ამბობს ამას თქვენზე?

კაბანიხა — არ გამიგონია, ჩემო კარგო, ჯერ არ გამიგონია, ტყუილს ვერ ვიტყვი. რომ გამეგონა, განა ასე მშვიდად ვილაპარაკებდი შენთან, ჩემო სანუკვარო?! (ამოიოხვრებს). ცოდვის ქმნა ადვილია! გულახდილად ლაპარაკს რომ დაიწყებ, უსათუოდ გაბრაზდები, შესცოლავ რასმე. არა, რაც გინდათ ის ილაპარაკეთ ჩემზე, ლაპარაკს ვერავის ვერ ავუკრძალავ: ვიცი, პირში თუ არა, ზურგს უკან მაინც იტყვით ჩემ ძვირს.

კაბანოვი — ენა გამიხმეს თუ...

კაბანიხა — კარგი, კარგი, ნუ ფიცავ! ცოდვას ნუ სჩადი! დიდი ხანია ვამჩნევ, რომ ცოლი გირჩენია დედას. რაც რომ დაქორწილდი, იმ სიყვარულს ვეღარ ვგრძნობ ჩემდამი.

კაბანოვი — აბა, დედიკო, რით იგრძენით ეს?

კაბანიხა — ყველაფრით, ჩემო კარგო, ყველაფრით! დედა რასაც თვალთ ვერ ხედავს, იმას გულით გრძნობს, მისანი გული აქვს. ცოლი თუ გრიყავს ჩემგან?

კაბანოვი — არა, დედიკო, რა ბრძანებაა!

კატერინა — დედიკო! თქვენ ჩემთვის ღვიძლ დედასავით ხართ, ტიხონსაც ძალიან უყვარხართ.

კაბანიხა — შენ როცა არას გეკითხებიან, გირჩენია ჩუმიდ იყო! ნუ ექომაგები შენ ქმარს! ნუ გეშინია, არაფერს ვაწყენინებ! შვილია ჩემი, ნუ დაივიწყებ ამას! რას გამოხტი და აბოილებ თვალებს! აბა, დაინახეთ, როგორ მიყვარს ქმარიო, არა? ვიცი, ვიცი, რომ ხალხის დასანახავად, თვალის ასახვევად აკეთებ ყოველივეს.

ვარვარა — (თავისთვის). იპოვნა რაღა ამანაც ჭკუის დასა რიგებელი ადგილი.

კატერინა — ამას კი, დედილო, ტყუილად ბრძანებთ. ხალხთანაც და მარტოცერთი ვარ და არასდროს არ ვთვალთმაქცობ.

კაბანიხა — შენზე ლაპარაკიც არ მინდოდა, მაგრამ სიტყვამ მოიტანა.

კატერინა — მაინც არ არის კარგი, შეურაცხყოფას რათ მაყენებთ?

კაბანიხა — ხედავ, თურმე როგორი ამპარტავანი ფრინველი ყოფილა! უცებ იწყინა!

კატერინა — ტყუილ-უბრალოდ დატუქსვა ვის არ ეწყინება.

კაბანიხა — ვიცი, ვიცი, რომ არ მოგწონთ ჩემი ლაპარაკი, მაგრამ რა გქნა, უცხო ხომ არა ვარ, მე თქვენზე გული შემტკივა. დიდიხანია ვამჩნევ, რომ თავისუფლება, ლალად ყოფნა გსურთ. არაფერია, მაგასაც მოესწრებით, მოესწრებით, როცა აღარ ვიქნები. მაშინ, როგორც გნებავდეთ ისე

მოიქცეოთ, უფროსი და ქუჩის დამრიგებელი არავინ გეყოლებათ. მაგრამ არაფერია, მეც მომიგონებთ.

კაბანოვი — ჩვენ, დედიკო, დღელამ იმას ვევედრებით ღმერთს, რომ თქვენი თავი კარგად გვიმოყოფოს, არაფერი მოგაკლოთ და გაბედნიეროთ.

კაბანიხა — კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს! შეიძლება გიყვარდი, ვიდრე ცოლს შეირთავდი. ჩემთვის შენ ახლა სად გცალია: ახალგაზრდა ცოლი გყავს.

კაბანოვი — ერთიმეორეს ეს ხელს როდი უშლის. ცოლი ცოლია, ხოლო რაც შეეხება მშობლებს, მათ მიმართ სათანადო პატივისცემით ვარ გამსჭვალული.

კაბანიხა — მაშ ცოლს დედა გირჩენია, არა? ჩემ დღეში არ დაგიჯერებ ამას.

კაბანოვი — რას ნიშნავს მირჩენია?! ორივენი მიყვარხართ.

კაბანიხა — ჰო, მოყვები ახლა იწილო-ბიწილოს! ვიცი, კარგად ვიცი, რომ ხედმეტი ბარგი ვარ თქვენთვის.

კაბანოვი — როგორც გინდათ ისე იფიქრეთ, თქვენი ნებაა; მხოლოდ არ ვიცი რამ გამაჩინა ქვეყანაზე ასეთი უბედური, თქვენი გულის მოგება ვერაფრით ვერ მომიხერხებია.

კაბანიხა — აბა, აბა, თავს ნუ ისაწყლებ! რას წვინტილ-ანობ? შენც მამაკაცი ხარ რალა! აბა, რას გეგხარ! ამის შემხედვარე ცოლს შენი შიში და მოკრძალება აბა საიდან ექნება?

კაბანოვი — რად უნდა ეშინოდეს, ან რად უნდა ეკრძალებოდეს? ჩემთვის ისიც კმარა, რომ უყვარვარ.

კაბანიხა — როგორ თუ რად უნდა ეშინოდეს? როგორ თუ რად უნდა ეკრძალებოდეს? გაგიჟდი თუ რა მოგივიდა? თუ შენი შიში არ ექნა, მე ხომ სულ აბუჩად ამიგდებს და ეს რას ემსგავსება? რა წესრიგი გვექნება ოჯახში? ის ხომ კანონიერი ცოლია შენი? თუ, თქვენის აზრით, კანონი არაფერს ნიშნავს? თუ ასეთი უხიაგი აზრი გიტრიალებს თავში, ხმამაღლა მაინც ნუ აყრანტალებ, ისიც ცოლისა და გასათხოვარი დის თანდასწრებით: შენმა დამ თუ ეს შენი ყრანტალი შეითვისა, დიდ მადლობას კი გეტყვის მისი ქმარი! ხედავ, რო-

გორი ქუჩის პატრონი ყოფილხარ და ამის შემდეგ საკუთარ ნებაზე გინდა იარო და იცხოვრო, არა?

კაბანოვი — არა, დედიკო, მე არ მინდა ჩემს ხებაზე ცხოვრება, აბა, სადა მაქვს მაგის თავი!

კაბანიხა — მაშ, შენი აზრით, ცოლს სულ უნდა ეალერსო, ხომ? არც დატუქსო, არც შეაშინო?

კაბანოვი — მე, დედიკო...

კაბანიხა — (ანაზლად). თუნდ საყვარელი გაიჩინოს, არა? და ეს, შენის აზრით, არაფერია? მიპასუხე!

კაბანოვი — მე, დედიკო, ღმერთმანია...

კაბანიხა — (გულგრილად). რეგენი! (ამოიოხრებს). რა უნდა გელაპარაკო ბრიყვს! ღროს ფუჭად ვკარგავ. (ღმობლი). მე შენ მივდივარ.

კაბანოვი — ჩვენც ახლავე, მხოლოდ ერთი-ორჯერ გავივლით ხეივანში.

კაბანიხა — როგორც გინდათ, მხოლოდ არ მალოდინოთ! ხომ იცი, ლოდინი მეზარება...

კაბანოვი — არა, დედიკო! ღმერთმა დამიფაროს!

კაბანიხა — ჰოდა, ასე! (მიდის).

### გამოსვლა მ-მ

იგინივე, გარდა კაბანიხასი

კაბანოვი — აი, ხომ ხედავ, მუდამ შენს გამო მხედება ხოლმე დედაჩემისგან. აი, როგორი ცხოვრება მაქვს.

კატერინა — მერე და მე რა შუაში ვარ, ან რა დამნაშავე ვარ?

კაბანოვი — ვინ არის დამნაშავე, სწორედ არ ვიცი.

ვარვარა — აბა შენ რა გაგეგება?

კაბანოვი — საშველს არ მაძლევდა: „ცოლი შეირთე, დაქორწინდი, მინდა დაცოლშვილებული გნახოო და ახლა სულს მიწუხებს, შემჭამა, მომიწელა, სულ შენს გამო.“

ვარვარა — თითქოს ეს იყოს დამნაშავე! დედაც ამას ეჩხუბება და შენც. მერე მიყვარსო ამბობ. გულის გამაწყალბელი ვინმე ხარ პირდაპირ. (ზურგს შეაკვევს).

კაბანოვი — მაშ ამხსენით რა ექნა? როგორ მოვიქცე?



ვარვარა — თუ არაფერი შეგიძლია, გაჩუმდი მაინც. აბა, რას ცმუქავ? თვალეში გატყობ რაც გაქვს გუნებაში.

კაბანოვი — მაინც რას მატყობ?

ვარვარა — კარგად ვიცი, საველ პროკოფიჩის გინდა ეს-ტუმრო და ერთად გადაჰკრაოთ. რა? ტყუილია თუ?

კაბანოვი — სწორია, გამოცანა გერგება!

კატერინა — ტიშა, მალე დაბრუნდი, თორემ დედა გაგიჯავრდება.

ვარვარა — აბა, ცოცხლად, თორემ ხომ იცი, რაც მოგელის.

კაბანოვი — როგორ არ ვიცი!

ვარვარა — არც ჩვენ გვესიამოვნება შენი გულისაფის გავილანძლოთ.

კაბანოვი — ამ წამსვე. ცოტა მომიტმინეთ. (მიდის).

### გამოსვლა მე-7

კატერინა და ვარვარა

კატერინა — მაშ, ვარია, გებრალები, არა?

ვარვარა — (სადღაც იყურება). რა თქმა უნდა მებრალები.

კატერინა — მაშასადამე, გიყვარვარ? (მზურვალედ კოცნის).

ვარვარა — რათ არ უნდა მიყვარდე!

კატერინა — მადლობელი ვარ! შენ ისეთი კარგი ხარ. მეც ძალიან მიყვარხარ. (დუმილი). იცი, რამ გამიელვა აზრად?

ვარვარა — რამ?

კატერინა — რატომ არ ფრინავენ ადამიანები?

ვარვარა — არ მესმის რას ამბობ?

კატერინა — შე ვამბობ, რათ არ ფრინავენ ადამიანები მეთქი, ისე როგორც ჩიტები? იცი, ხანდახან მგონია, რომ ფრინველი ვარ. როცა მადლობზე ვდგევარ, ფრენის სურვილი აღმძვრება. აი, ასე მინდა გავექანო, აეწიო ხელები და გავფრინდე. მოდი ვცადო? (უნდა გაიქცეს).

ვარვარა — ეს რა აიხირე?

კატერინა — (ამოიხრებს). შენც იცი, როგორი გიყმაყი ვიყავ! თქვენთან დავჰქანი, მოვუშვი.

ვარვარა — განა ვერ ვამჩნევ?

კატერინა — განა მე ასეთი ვიყავი? ვცხოვრობდი უღარ-ღელად, როგორც ჩიტი ცაში. დედაჩემი სულს არ იშურებდა ჩემთვის, დედოფალსავით მრთავდა, საქმეს არ მაძალებდა, რაც მინდოდა, იმას ვაქეთებდი. იცი როგორ ვცხოვრობდი ქალიშვილობაში? ახლავე გიამბობ. თუ ზაფხული იყო დილაადრინ ავდგებოდი და წყაროსკენ გავეშურებოდი, პირს დავი-ბანდი და თან წყალს წამოვიღებდი შინ ყვავილების მოსარ-წყავად. ბევრი, ძალიან ბევრი ყვავილები მქონდა. მერე საყ-დარში წირვაზე დედაჩემთან ერთად მთელი ჯალაბით, მწირ-მონოზნებთ წავიდოდი. ჩვენი სახლი მუდამ სავსე იყო სა-ლოსებით, მლოცველებით. როცა წირვიდან დაებრუნდებო-დით, ხელსაქვს დავუჯდებოდით, უმეტესად ხავერდზე ოქრო-მკედით ათას რამეს ექარგავდით, მწირი ქალები კი გვიამბობ-დნენ სად ყოფილან, რა უნახავთ, და თან წმინდანების ცხოვრე-ბას გვიამბობდნენ ანდა საგალობლებს გალობდნენ. და ასე სადი-ლობს დროც მოვიდოდა. ნასადილევს ბებრები წაიძინებდნენ. მე კი ბაღში დავსეირნობდი. შემდეგ საღამოს ლოცვაზე წავიდო-დით, მერე ისევ ბაასით, გალობით ვერთობოდით. რა კარგი იყო!

ვარვარა — ჩვენთანაც ხომ იგივეა.

კატერინა — არა, ყველაფერი აქ თითქმის ძალდატანე-ბით, შიშქვეშ, უსიხარულოდ ხდება. ოხ, როგორ მიყვარდა საყდარში სიარული! თავს ესე ვგრძნობდი, თითქოს სამოთ-ხეში ვყოფილიყო. არც ხალხს ვამჩნევდი, არც დროს, ისე ვი-ყავ გატაცებული, რომ წირვის გამოსვლას ვეღარ ვიგებდი. ყველაფერი ეს თითქოს ერთ წამში ხდებოდა. დედაჩემი მეტ-ყოდა ხოლმე, რომ ამ დროს თურმე ყველანი მე შემომოცქე-როდნენ, თვალყურს მადევნებდნენ. მზიან დღეში შუქი გუმბა-თიდან სვეტივით ეშვებოდა, კვამლი შიგ ნისლივით ირეოდა, ცურავდა და ხშირად მეგონა, რომ ამ ნისლში ანგელოზები კრთიან, გალობენ მეთქი. ხანდახან ღამით ავდგებოდი და კუთხეში სადმე ჩაჩოქილი დილამდე ვლოცულობდი. ან დი-ლაადრინ მზის ამოსვლისას ბაღში გავიდოდი, მუხლებზე დავეცემოდი, ვლოცულობდი და თან ვტიროდი, თვითონაც არ ვიცოდი რას ვლოცულობდი ან რათ ვტიროდი. ვინ იცის

რამდენჯერ უნახავართ თურმე ასეთ ყოფაში ჩვენებს. ახლაც არ ვიცი რას შევთხოვდი ღმერთს. არა მინდოდა რა, ყველაფერი საკმაოდ მქონდა. ან როგორ სიზმრებს ვხედავდი, ვარვარა, რომ იცოდნე, როგორ სიზმრებს! ხან ოქროს ტაძრებს, ხან არაჩვეულებრივ ბაღებს, უხილავი ხმები რაღაცას ღაღაღებდნენ, კვიპაროსები, მთები, ხეები ისეთი როდი იყო, როგორც ჩვეულებრივ არიან, არამედ ისეთი, ეკლესიებში რომ ხატავენ. ხან ვხედავდი, რომ ვურინავ, ჰაერში ვფურინავ. ახლაც ვხედავ სიზმრებს, მხოლოდ იშვიათად და სულ სხვანაირს.

ვარვარა — მაინც როგორს?

კატერინა — (ღუმილის შემდეგ). მე მალე მოვკვდები.

ვარვარა — კარგი ერთი, დაა!

კატერინა — არა, მე ვიცი, კარგად ვიცი, რომ მოვკვდები. იცი, გოგო, რაღაც სასიკეთო არაა ჩემ თავს. არასოდეს ეს არ დამმართნია. უცნაურია, თითქოს ახალ სიცოცხლეს ვიწყებ, თუ... არ ვიცი რა არის.

ვარვარა — რა გემართება ისეთი?

კატერინა — (ხელს მოჰკიდებს). აი რა, ვარია, ცოდვა დატრიალდება! ისეთი შიში მიპყრობს, გესმის, ისეთი შიში! თითქოს უფსკრულის პირას ვდგევარ, ვიღაცა ხელს მკრავს და არ ვიცი რას ჩავეჭიდო. (თავზე ხელს წაივლებს).

ვარვარა — რა მოვდის? ავად ხომ არა ხარ?

კატერინა — არა... უმჯობესი კი იქნებოდა, რომ ავად ვიყო. რაღაც უცნაური აზრი იპყრობს ჩემს გონებას და ვერ გავიქევივარ. მინდა ვიფიქრო და გონი ვერ მომიკრფვია, მინდა ვილოცო და ლოცვა არ მოდის. სიტყვებს ვბუტბუტებ, მაგრამ აზრი სხვაგან რბის. ყურში ვიღაც ცბიერი თითქოს რაღაც მაგნე ზრახვებს ჩამჩურჩულებს, ალბათ, საბედისწერო რამ არის ყოველივე ეს. ღამითაც ვერ ვიძინებ, ვარია! ასე მგონია, ვიღაც ჩამჩურჩულებს, რაღაცას ისეთი ალერსით ჩამჩურჩულებს, თითქო მტრედი ღულუნებდეს. ვეღარ ვხედავ, ვარია, წინანდებურად სამოთხის ხეებს, მთებს, თითქოს ვიღაცა მეხვევა მხურვალედ და მიყავარ საღდაც, მეც მივდეგ, მიყვები მას...

ვარვარა — მერე?

კატერინა — რათ გეუბნები აქას, შენ ხომ ქალიშვილი ხარ.

ვარვარა — (მიმოიხედავს). მითხარი, ყველაფერი მითხარი! მე შენზე ცუდი, შენზე უარესი ვარ.

კატერინა — რა უნდა გითხრა? მრცხვენია.

ვარვარა — თქვი, ფიქრი ნუ გაქვს!

კატერინა — ხანდახან ისე შემეხუთება სული, ისე შემეხუთება, რომ მინდა საღმე გავიქცე. ისეთ გუნებაზე დავდგები, — ჩემი ნება რომ იყოს, ვიცურავებდი ნავით ვოლგაზე სიმღერა-ყიყინით, ან სამცხენა ეტლით გავქროლდებოდი ხელგადახვეული...

ვარვარა — მხოლოდ არა ქმართან.

კატერინა — შენ რა იცი?

ვარვარა — როგორ თუ რა ვიცი!

კატერინა — ოხ, ვარია, ცოდვილი აზრი მიტრიალებს თავში! რამდენი არ ვიტირე მე საცოდავმა, რა არ ავუტეხე ჩემ თავს! მაგრამ ამის ფიქრს მაინც ვერ გავიქეცი. ეს ხომ ცუდია, საშინელი ცოდვაა, ვარია, საშინელებაა, რომ სხვა მიყვარს.

ვარვარა — შენ როგორ უნდა გაგსაჯო, როცა ჩემს ცოდვებსაც ვეღარ ავუდივარ.

კატერინა — რა ვქნა, როგორ მოვიქცე! ძალა არ მყოფნის დაფლიო იგი. რა მეშველება, ეს გრძნობა სირცხვილს მაქმევს, თავს მომჭრის თუ რაიმე არ ავუტეხე ჩემს თავს!

ვარვარა — რას ამბობ? რა მოგივიდა? ცოტა დაიცადე, ხვალ ძმა ალბათ გაემგზავრება და მაშინ ვიფიქროთ. შეიძლება შეხვედრაც მოვახერხოთ მასთან.

კატერინა — არა, არა! არ არის საჭირო! რას ამბობ? ღმერთმა დამიფაროს!

ვარვარა — რა იყო, რამ შეგაშინა?

კატერინა — ერთხელაც რომ შევხვდე, მერე შინ აღარ დამედგომება, უნდა გავიქცე სამუდამოდ.

ვარვარა — დაიცა, ვნახოთ როგორ მოეწყობა საქმე.

კატერინა — არა, არა, არაფერი არ მითხრა ამის შესახებ, გაგონებაც არ მინდა.

ვარვარა — აბა, რა აზრი აქვს ისეთს ცხოვრებას, —  
დარღობს ჩამოხმე! სულიც რომ ამოგხდეს, არავინ შეგიბრა-  
ლებს. შენ მაგისი ფიქრი ნუ გაქვს. სიცოცხლე რათ უნდა  
გაიმწარო?

(შემოდის ქალბატონი ჯოხით. თან ორი ლაქია მოსდევს. ლაქიებს სამ-  
კუთხედი ქუდები ხურავთ).

### გამოსვლა მ-8

იგინიფე და ქალბატონი

ქალბატონი — რა იყო, მზეთუნახავებო? აქ რას აკეთებთ?  
ყმაწვილებს ელოდებით, არშიყებს? გიხარიათ ხომ? გიხა-  
რიათ? თქვენი სილამაზე გახარებთ, არა? აი, საით მიყავხართ  
სილამაზეს. (უთითებს ვოლგაზე). აი, აი, იქ, პირდაპირ მორევი.  
(ვარვარა იღმის). რა გაცინებს? რა გიხარია? (ჯოხს მიწაზე აკაკუ-  
ნებს) ყველანი ჩაუქრობელი ცეცხლით დაიწვით, ადუღებულ  
კუბრში მოიხარებით. (წასვლისას). აი, აი, ხედავთ საით მი-  
ყავხართ სილამაზეს?! (მიდის).

### გამოსვლა მ-9

კატერინა და ვარვარა

კატერინა — უჰ, როგორ შემაშინა!.. სულ ვკანკალებ,  
თითქოს რაღაცა მიწინასწარმეტყველა.

ვარვარა — წყველა მაწყევარს, შე ბებერო ქოფაკო!

კატერინა — ეს რა სთქვა, ა? ეს რა ილაპარაკა?

ვარვარა — ყველაფერი სისულელეა. მის ბოდვას რა ყურს  
უგდებ. ყველას ამას უქადის. მთელი თავისი სიცოცხლე სცო-  
დავდა. აბა იკითხე, რამდენი რამ გიაშბონ მაგის შესახებ!  
სიკვდილის კი მართლაც ეშინია. ჰოდა, რისიც ეშინია, სხვა-  
საც მითვე აშინებს. მაგას შიშით ბავშვებიც ემალებიან. ყვე-  
ლას ჯოხით ემუქრება და თან უყვირის: (აჯაგრებს). „ყველანი  
ჩაუქრობელ ცეცხლში დაიწვებით“.

კატერინა — (თვალეებს ხუჭავს). ოხ, გაჩუმდი! გული მომ-  
წყდა.

ვარვარა — კარგი ერთი, რის გეშინია! ეგ ხომ ერთი  
სულელი დედაბერია...

კატერინა — მეშინია, გამოუთქმელად მეშინია! სულ მე-  
ლანდება. (დუმილი).

ვარვარა — (მიმოიხედავს). რა იქნა ის ჩემი ძამია? აქამდე  
რათ არ მოდის? აი ხედავ? ცა მოიღრუბლა. ოჰო, რუხი ღრუბ-  
ლებით მოიგრაგნა, უსათუოდ, ქექა-ქუხილი უსათუოდ ატ-  
ყდება.

კატერინა — (ხარდაცემული). ქექა-ქუხილი? შინ გავიქცეთ!  
მალე, შინ წავიდეთ!

ვარვარა — ხომ არ გაგიჟდი! რა პირით გინდა შინ დაბ-  
რუნდე უძამიკოდ.

კატერინა — არა, შინ, შინ! რაც იქნება, იქნება!

ვარვარა — რაღაც ძალიან შეშინდი. ჯერ ქუხილამდე  
კარგა შორს არის.

კატერინა — რაკი შორს არის, ცოტა შევიცადოთ; თუმ-  
ცა, უმჯობესია წავიდეთ, არა, წავიდეთ, წავიდეთ!

ვარვარა — მოსასვლელს სახლშიც ვერ დავემალებით.

კატერინა — სახლში სულ სხვაა — როგორღაც უფრო  
დამშვიდებული ხარ. ხატთან მიხვალ, ღმერთს შეევედრები!

ვარვარა — არ ვიცოდი, თუ ასე გეშინოდა ქექა-ქუხი-  
ლის, მე სულაც არ მეშინია.

კატერინა — როგორ თუ არ გეშინია, ვარია? ყველას, ყვე-  
ლას უნდა ეშინოდეს ქექა-ქუხილის. ის კი არ არის საშინელი,  
რომ მოგკლავს, საშინელია ის, რომ შეიძლება სიკვდილმა უცებ  
მოგისწროს მთელი შენი მზაკრული განზრახვებით. მე სიკვ-  
დილის როდი მეშინია, მაგრამ ღვთის წინაშე ისე წარდგო-  
მისა როგორც ვარ შენთან, იმ ლაპარაკის შემდეგ, ჩვენ რომ  
გვქონდა, — მეშინია. ეს რა აზრი ამეკვიტა, რა ცოდვილი  
აზრი! თქმისაც მეშინია. (ქუხილი). ოხ!.. (შემოდის კაბანოვი).

ვარვარა — აი, ძამიაც მოვიდა! (კაბანოვის). აბა, გავიქცეთ.  
(ქუხილი).

კატერინა — ოხ! ჩქარა! ჩქარა!

## მოქმედება მეორე

ოთახი კაბანოების სახლში.

### გამოსვლა 1-ლი

გლაშა ტანსაცმელს კრავს, ფეკლუშა შემოდის.

ფეკლუშა — ლამაზო გოგონა, ქალწულო კეთილგონებიათ, სულ საქმეში ხარ, ამას რათ სჩადი?

გლაშა — ბატონს ვისტუმრებ.

ფეკლუშა — განა მიემგზავრება სადმე ჩვენი თვალის სინათლე?

გლაშა — დიახ!

ფეკლუშა — დიდიხნით სტოვებს აქაურობას?

გლაშა — არა, მცირე ხნით.

ფეკლუშა — გზა დამილოცნია მისთვის! რას იზამს ცოლი მისი? ტირილს მორთავს თუ არა?

გლაშა — აბა, რა მოგახსენოთ, სწორედ არ ვიცი.

ფეკლუშა — არასდროს არ სტირის?

გლაშა — რაღაც არ მსმენია.

ფეკლუშა — ქალწულო კეთილგუნებიანო, მე ძლიერ მიყვარს ტირილის მოსმენა, მით უფრო მაშინ, როცა კარგად მოსთქვამენ! (სიჩუმე). გოგონი, იმ მათხოვრებზე თვალყური გკონდეთ, არა მოიპარონ რა.

გლაშა — თქვენ თავსა და ბოლოს ვინ გაიგებს. ერთიმეორის ცილისწამებაში ხართ. განა თქვენ კი წესიერად ცხოვრობთ? თქვენ ჩვენი გიკვირთ და თვითონ ველარ მოგისვენიათ, ჩხუბობთ, ქიშპობთ ერთმანეთში. მწირ-მლოცველნი ხართ და ცოდვის ჩადენის არ გეშინიათ.

ფეკლუშა — არა, შეილო, ცოდვის გარეშე არ შეიძლება. ჩვენ ხალხში ვცხოვრობთ. აი რას გეტყვი, ჩემო შეილო: თქვენ, უბრალო მომაკვდავებს, თვითეულ კაცს თითო მტერი

გქენჯნით, ჩვენ, მწირ-მლოცველებს, ზოგს ექვსი და ზოგს თორმეტი მტერი გყავს შემოჩენილი; ჰოდა, ყველა ისინი უნდა ვძლიოთ. დიდ გასაჭირში ვართ, ქალწულო კეთილგუნებიანო.

გლაშა — ამდენი მტერი რამ გაგიჩინათ?

ფეკლუშა — მტერი ამას შურით გვიწყობს, შეილო, იმიტომ რომ ღვთის ცნების თანახმად ვცხოვრობთ. მე კი, გოგოვ კეთილგუნებიანო, შურიანი არ ვარ და არც ცოდვა მაქვს. თუმცა ერთი ცოდვა კი მაქვს, ნამდვილად ვიცი, რომ მაქვს. გემრიელი სმა-ჭამა მიყვარს. რა გაეწყობა! ამ სისუსტისათვის მსჯის უფალი.

გლაშა — ფეკლუშა, შორს თუ გივლია?

ფეკლუშა — არა, სანუგვარო. უძლურების გამო შორს არ ვყოფილვარ, გაგონებით კი ბევრი მსმენია. ამბობენ, ისეთი ქვეყნები არისო, გოგონი, სადაც მართლმადიდებელი მეფეებიც არა ჰყავთო. ქვეყანას სულთანები განაგებენო. ერთ ქვეყანაში თურმე ტახტზე ოსმალო მახმუტ სულთანი ზის, მეორეში სპარსელი მახმუტ სულთანი; ისინი სჯიან და ასამართლებენ ხალხს, ჩემო გოგონი, და სამართალს მათსა სიმართლე არ გააჩნია. ჩვენი კანონი სამართლიანია, მათი — უსამართლო, რაც ჩვენი კანონით წაღმა გამოდის, მათი კანონით სულ უკუღმა ბრუნდება. იმ ქვეყანაში თხოვნაში ასე სწერენ თურმე: „განმსაჯე მე, უსამართლო მოსამართლეო.“ არის კიდევ ერთი ქვეყანა, სადაც აღამიანებს თურმე ძაღლის თავი აბიათ.

გლაშა — ეს ვითომ რატომ?

ფეკლუშა — უკეთურობისათვის. ეჰ, გოგონი, წავალ, ვაქრებს ჩამოვუფლი. იქნებ მოხედონ ჩემს სიღარიბეს და გამიკითხონ. კარგად მენახე!

გლაშა — ავრეთვე შენც! (ფეკლუშა მიდის). როგორი ქვეყნები ყოფილა! რა სასწაული ხდება თურმე ქვეყანაზე! ჩვენ კი აქ ვზივართ და არაფერი არ გაგვეგება. კიდევ კარგი, რომ კეთილი ხალხის წყალობით ხანდახან ყურს მაინც მოვკრავ რა ხდება დედამიწაზე, თორემ სული სიბრძნევი ამოგვძვრებოდა. (შემოდის კატრინა და ვარვარა).

ვარვარა — (გლახას). ცხენები შებმულია. აბა, ეს ფუთა-ბარგი წაიღე. (კატერინას). ძალიან ადრე გათხოვილხარ. ქალი-შვილობაში გული კარგად ვერ მოგიჯერებია და ახლა ამიტომაც ფორიაქობ. (გლახა გადის).

კატერინა — არც არასოდეს დამიმშვიდლებს.

ვარვარა — რატომ?

კატერინა — ასეთი დავიბადე, ბობოქარი! იცი, ერთხელ რა ჩავიდინე? ექვსი წლის ვიქნებოდი, შინ რაღაც მაწყენინეს. საღამო იყო, ბნელდებოდა, ვოღაზე დავეშვი, ნავში ჩავჯექ და ნაპირს ვავშორდი. მეორე დილას მიპოვეს 10 ვერსის მანძილზე.

ვარვარა — ბიჭებს თვალი შენზე თუ რჩებოდათ?

კატერინა — როგორ არა!

ვარვარა — მერე? ნუთუ არავინ არ გყვარებია?

კატერინა — არა, ვიციინოდი მხოლოდ.

ვარვარა — კატია, შენ ხომ ტიხონი არ გიყვარს...

კატერინა — არა, როგორ არ მიყვარს! მე ის ძალიან მებრალებს!

ვარვარა — არა, არ გიყვარს. რაკი გებრალებს, არ გყვარებია. ან რად უნდა გიყვარდეს. ტყუილად როდი ხარ ასე გულჩათხრობილი, დიდიხანია გამჩნევ, რომ გული ერთ ვინმეზე შეგვარდნია.

კატერინა — (შიშით). როგორ, საიდან შემატყვევ?

ვარვარა — რა სასაცილო ხარ! ბავშვი ხომ არა ვარ! აი, პირველი ნიშანი, — იმას დაინახავ თუ არა, სახე ერთბაშად შეგეცვლება. (კატერინა თვლებს დაბლა დახრის). განა ეს ცოტა...

კატერინა — (თაჩაქინდრული). ვინ არის იგი?

ვარვარა — შენც კარგად იცი. დასახელება რა საპიროა?!

კატერინა — არა, დასახელება! სახელი მითხარი!

ვარვარა — ბორის გრიგორიჩი.

კატერინა — ის არის, ვარია, ის! მხოლოდ ღვთის გულისათვის...

ვარვარა — ერთი ამას დამიხედე! შენ თვითონ იყავ ფრთხილად, არსად წამოგცდეს.

კატერინა — რა ვქნა, არც ტყუილის თქმა შემიძლია და არც რისამე დამალვა.

ვარვარა — უამისოდ კი არ შეიძლება; აბა მოიგონე, სად ცხოვრობ. მთელი ჩვენი ოჯახი ტყუილზეა დაფუძნებული. არც მე ვიყავი მატყუარა, მაგრამ დამჭირდა და ვისწავლე. ვუშინ რომ ვსერილობდი, ის ვნახე, ველაპარაკე.

კატერინა — (მცირე დუმილის შემდეგ თაჩაქინდრული). მერე რაო?

ვარვარა — მოკითხვას გითვლის. ვწუხვარო, ამბობს, რომ ჩვენი შეხვედრა არ ეწყობაო.

კატერინა — სად უნდა შეხვდეთ! ან რა საჭიროა...

ვარვარა — ისეთი დაღონებულია...

კატერინა — ნურაფერს მეტყვი, მაღლი ჰქენ და ნურას მეტყვი! მისი ცნობაც არ მინდა! მე მხოლოდ ქმარი უნდა მიყვარდეს. ტიშა, ჩემო კარგო, მე შენ არავისში არ გაგცვლი! მე მასზე ფიქრიც არ მინდოდა და შენ მომაგონე.

ვარვარა — მერე და ნუ ფიქრობ, ძალას ვინ გატანს?

კატერინა — შენ მე სრულებით არ გებრალები! მეუბნები: ნუ ფიქრობო და თვითონ მაგონებ. განა მე კი მინდა, რომ ვიფიქრო, მაგრამ რა ვქნა, ვერ ვიშორებ, სულ თვალწინ მიდგას. ვებრძვი ჩემ თავს და ვერას ვაგვბდი. იცი, წუხელ ავი სული, მანე მქენჯნიდა, — სახლიდან კინალამ გავიქეცი.

ვარვარა — უცნაური ხარ, ღმერთს გეფიცები! ჩემის აზრით, რაც გინდა ის გააკეთე, მხოლოდ ფარულად, ისე, რომ ვერავინ გაიგოს.

კატერინა — ეგრე არ მინდა... განა ეს კარგია? უმჯობესია ვითმინო, ვიდრე მოთმინება მეყოფა.

ვარვარა — როცა მოთმინება გამოგელევა, მაშინ რას იზამ?

კატერინა — რას ვიზამ?

ვარვარა — ჰო, რას იზამ?

კატერინა — რასაც მოვისაზრებ, იმას ვიზამ.

ვარვარა — აბა სცადე, ცოცხლივ შეგკამენ.

კატერინა — მერე რა! მივატოვებ აქაურობას.

ვარვარა — სად წახვალ? შენ ხომ ქმარი გყავს?

კატერინა — ეხ, ვარია, შენ არ იცი ჩემი ხასიათი! ეხ, ღმერთმა ნუ ქნას, თორემ თუ გული ავიყარე აქაურობაზე, მერე ვერავითარი ძალა ვერ დამაკავებს. ფანჯრიდან გადავხტები, ვოლგაში გადავევარდები. თუ არ მომინდება აქ ცხოვრება, რომ დამკლან არ ვიცხოვრებ! (ღუმლი).

ვარვარა — იცი რა, კატია! ტიხონი რომ გაემგზავრება, ბაღში, ფანჯატურში ვიძინოთ.

კატერინა — ვითომ რატომ?

ვარვარა — ისე, განა სულერთი არ არის?

კატერინა — უცნობ ადგილას ღამის გათევის მეშინია.

ვარვარა — რის გეშინია! გლაშაც ჩვენთან იქნება.

კატერინა — მეშინია, მაგრამ ვნახოთ...

ვარვარა — არ გთხოვდი, მაგრამ დედა მარტო არ გამიშვებს, ჩემთვის კი ეს აუცილებელია.

კატერინა — (ავვირდება). რად არის შენთვის აუცილებელი?

ვარვარა — (სიცილით). ერთად ვიმკითხავებთ.

კატერინა — შენ ხუმრობ.

ვარვარა — რა თქმა უნდა, ეხუმრობ. მაშ რა, მართალი გეგონა? (ღუმლი).

კატერინა — ეს ტიხონი სად დაიკარგა?

ვარვარა — ვითომ და რად დაგპირვებია?

კატერინა — ისე ვიკითხე, აკი მალე უნდა გაემგზავროს.

ვარვარა — დედასთან ზის ოთახში ჩაკეტილი, იცოცხლე იმას დედაჩემი ახლა ტვინს უბურღავს.

კატერინა — რისთვის?

ვარვარა — ისე, ტყუილ-უბრალოდ, ქკუაზე არიგებს. ორი თვე გზაში იქნება! შენ თვითონ განსაჯე. დედაჩემი გულზე გასივდება იმის გამო, რომ ამღენხანს თავის ნებაზე იქნება მიშვებული. ჰოდა, ახლა ბრძანებას ბრძანებაზე აყრის, ერთიმეორეზე მკაცრსა და მრისხანეს. მერე ხატთან მიიყვანს, დააფიცებს, რომ ყველაფერი ისე შეასრულოს, როგორც უბრძანა.

კატერინა — ის ყოველთვის შებოქილია.

ვარვარა — შებოქილი? როგორ არა! როგორც კი გაემგზავრება, ხელს მიჰყოფს ლოთობას. ახია, ყურს უგდებს დედას და თან იმის ფიქრშია, თავი მას როგორ დააღწიოს.

(შემოდინ კაბანიხა და კაბანოვი).

### გამოსვლა მე-3

ივინივე, კაბანოვი და კაბანიხა

კაბანიხა — ხომ ყველაფერი კარგად დაიმახსოვრე, რაც გითხარი. აბა არ დაგავიწყდეს, ღრმად ჩაიბეჭდე გულში!

კაბანოვი — მახსოვს, დედიკო, ყველაფერი მახსოვს.

კაბანიხა — ახლა სულ მზად ხარ. ცხენებიც შებმულია. გამოგვეთხოვე და გზას გაუდექი.

კაბანოვი — დიახ, დედიკო, დროა.

კაბანიხა — აბა!

კაბანოვი — რა გნებათ?

კაბანიხა — რას უდგეხარ, წესი არ იცი, თუ რა არის! ცოლი ქკუაზე დაარიგე, ასწავლე როგორ იცხოვროს უშენოდ.

(კატერინამ თავი ჩაღუნა).

კაბანოვი — რა დარიგება უნდა, თვითონაც კარგად იცის.

კაბანიხა — როგორ? მეურჩები კიდევ? აბა, მალე მიდი და ქკუაზე დაარიგე. ოღონდ ისე, რომ მეც მესმოედეს, გავიგონო რას დააბარებ! როცა ჩამოხვალ, გამოკითხე, ყველაფერი შეასრულა თუ არა.

კაბანოვი — (კატერინას წინ დგება). კატერინა, დედას გაუგონე!

კაბანიხა — უთხარ, დედამთილს არ აწყენინოს!

კაბანოვი — დედამთილს არ აწყენინო!

კაბანიხა — დედამთილს ისე უნდა აფასებდეს, პატივს სცემდეს, როგორც ღვიძლ დედას!

კაბანოვი — პატივი ეცი დედამთილს, როგორც ღვიძლ დედას!

კაბანიხა — გულხელდაკრეფილი არ იჯდეს ქალბატონივით!

კაბანოვი — საქმეს თვალი მიატანე!

კაბანიხა — ფანჯარაში ნუ იჭყიტება!

კაბანოვი — კი მაგრამ, დედა, ის ხომ...

კაბანიხა — აბა მალე!

კაბანოვი — ფანჯარაში ნუ გაიხედავ!

კაბანიხა — ახალგაზრდა ბიჭებისავენ თვალები ნუ გაურბის!

კაბანოვი — რა არის, დედაჩემო, ღმერთმანი...

კაბანიხა — (მკაცრად). ლობე-ყორეს ნუ ედები მეთქი. რასაც დედა გეუბნება, უნდა შეასრულო. (ღიმილით). ნაბრძანები რომ ექნება, უკეთესია.

კაბანოვი — (უხერხულად). ბიჭებს ნუ შეხედავ.

(კატერინა მკაცრად შეხედავს).

კაბანიხა — ახლა თუ გინდათ მარტო მოილაპარაკეთ. გავიდეთ, ვარვარა! (გადაიან).

#### გამოსვლა 80-4

კაბანოვი და კატერინა. კატერინა გაოგნებული დგას

კაბანოვი — კატია. (ღუმილი). კატია, ხომ არაფერი გეწინა ჩემგან?

კატერინა — (მცირე ღუმილის შემდეგ თავს გააქნევს). არა.

კაბანოვი — რათ ხარ ეგრე მოწყვეტილი? მაპატიე.

კატერინა — (იმავე მდგომარეობაში თავის ოდნავ ქნევით). ღმერთმა შეგიწოდოს. (ხელებს სახეზე აიფარებს). დედაშენმა მაწყენინა!

კაბანოვი — ყველაფერი გულთან ახლოს რომ მიიტანო დაჭლექდები. იმას რა ყურს უგდებ. ხომ იცი მისი ამბავი, რამე თუ არ თქვა, არ შეუძლია. ჰოდა, ილაპარაკოს. შენც წაუყრუე. მაშ მშვიდობით, კატია!

კატერინა — (მოხევევა ქმარს). ტიშა, ნუ წახვალ! ღვთის გულისათვის ნუ წახვალ! გემუდარები!

კაბანოვი — არ შეიძლება, კატია! დედა მგზავნის. როგორ შეიძლება, რომ არ წავიდე!

კატერინა — მაშ მეც თან წამიყვანე!

კაბანოვი — (უნდა თავი გაინთავისუფლოს მისგან). არ შეიძლება.

კატერინა — რატომ არ შეიძლება, ტიშა, რატომ?

კაბანოვი — რა სასიამოვნოა შენთან მგზავრობა? თქვენ ყველამ აქაც გამაბეზრეთ თავი. არ ვიცი როგორ გავასწორო აქედან და შენ კი თან მომდევ.

კატერინა — ნუთუ აღარ გიყვარვარ?

კაბანოვი — როგორ არა, მაგრამ ასეთ მონობაში მზეთუნახავ ცოლსაც გაექცევი. შენ მხოლოდ ის იფიქრე: როგორიც არ უნდა ვიყო, მაინც მამაკაცი ვარ. სულ ასე ცხოვრება აუტანელია, თავიც გამაბეზრდა და ცოლიც. ახლა, როცა ვიცი, რომ ორი კვირის განმავლობაში არავითარი რისხვა და წყრომა არ მომელის, ხელ-ფეხი ხუნდებისაგან თავისუფალი მაქვს, ერთი მითხარი, რა მეცოლება?

კატერინა — აბა შენ თვითონ მითხარი, როგორ უნდა მიყვარდე, როცა ასეთი სიტყვები მესმის შენგან?

კაბანოვი — ჩვეულებრივი სიტყვებია! მაშ რა გითხრა? უცნაურია, რის გეშინია? მარტო ხომ არ რჩები? დედაჩემი ხომ აქ არის?

კატერინა — არა, დედას ნუ მომაგონებ! ვაი შენ, უბედურო ჩემო თავო! (ტირის). რა ვქნა მე უბედურმა? სად წავიდე, ვის მივენლო? ვაიმე, ვილუბები!

კაბანოვი — კარგი ერთი, რა მოკდის?!

კატერინა — (მოდის ქმართან და ეხვევა). ტიშა, ჩემო კარგო, თუ დარჩები ან თან წამიყვან, თავდავიწყებით შემიყვარდები. ჩემო ძვირფასო, თავდავიწყებით მეყვარები! (ვალურსება).

კაბანოვი — ვერაფერი ვერ გამიგია, კატერინა! შენგან აღერსს კი არა სიტყვასაც ვერ ეღირსება კაცი და ახლა რა მოკდის?

კატერინა — ტიშა, ვისი იმედით მტოვებ? იცოდე, უბედურება არ ამცდება უშენოდ, უბედურება!

კაბანოვი — კი მაგრამ, მე რა შემიძლია, რას გავაწყობ?

კატერინა — აი რა! რაიმე ფიცი ჩამომართვი, ფიცი ულ-მობელი...

კაბანოვი — რა ფიცი?

კატერინა — რომ უშენოდ არავის უცხოს არ დაველაპარაკო, არავის უცხოს არ შევხედე. შენს გარდა არავისზე ვიფიქრო.

კაბანოვი — კი მაგრამ, რა საჭიროა ყოველივე ეს?  
კატერინა — სული მინდა დავიმშვიდო, ჰქენი ეს მაღლი ჩემთვის!

კაბანოვი — როგორ შეგიძლია პირობა დასდო, როცა არ იცი თავში რა აზრი გაგივლევს?

კატერინა — (მუხლებზე დაეცემა). რომ ვერ ვნახო ვერც მამა, ვერც დედა! რომ მოგკვდე უზიარებლად, უაღსარებოდ, თუ კი მე...

კაბანოვი — (ააყენებს). რას სჩადი, რას? რას სცოდავ? მოსმენაც არ მინდა!

კაბანიხას ხმა — (გარედან). „დროა, ტიხონ“.  
(შემოდინ კაბანიხა, ვარვარა და გლაშა).

### გამოსვლა მე-5

იგინიე, კაბანიხა, ვარვარა და გლაშა

კაბანიხა — აბა, დროა, ტიხონ! გზას გაუდექ! ღმერთი იყოს შენი მფარველი. დასხედით ყველანი! (ყველანი სხდებიან ღუმელი). აბა მშვიდობით! (ადგებიან).

კაბანოვი — (მივა დედასთან). მშვიდობით, დედიკო!  
კაბანიხა — (უთითებს მიწაზე). ფერხით, ფერხით! (კაბანოვი მდაბალ სალამს აძლევს დედას, შემდეგ აკოცებს). ცოლს გამოეთხოვე!

კაბანოვი — მშვიდობით, კატია! (კატერინა კისერზე მოეხვევა)  
კაბანიხა — ერთი ამ უტიფარს დამიხედეთ! ხედავთ, როგორ ჩამოეკიდა კისერზე! საყვარელს ხომ არ ეთხოვები? ქმარია შენი, ბატონია. თუ, წესი არ იცი? მდაბალი სალამი უნდა უძღვნა!

(კატერინა ბრძანებას ასრულებს).

კაბანოვი — მშვიდობით, დაიკო! (კოცნის ვარვარას). მშვიდობით, გლაშა! (კოცნის გლაშას). მშვიდობით, დედიკო! (თავს დაუკრავს).

კაბანიხა — მშვიდობით! შორს გაცილება ზედმეტია.

(კაბანოვი გადის. უკან მიჰყვებიან კატერინა, ვარვარა და გლაშა).

### გამოსვლა მე-6

კაბანიხა მარტო

კაბანიხა — რას ნიშნავს ახლაგაზრდობა! რა სასაცილონი არიან! ჩემიანები რომ არ იყვნენ, ბევრს ვიცილებდი. არაფერი საგან არაფერი არ გაეგებათ. არავეითარი წესი, რიგიანი გამოთხოვებაც არ იციან. იღბალი, ვისაც უფროსი ჰყავს ოჯახში! მთელი სახლი მაშინ იმაზეა დამყარებული. ერთი ამ ბრყევებს დამიხედეთ, თავის ნებაზე უნდათ ცხოვრება, მაგრამ ხალხში რომ გავლენ, არაფერი არ გამოუდით და სასაცილონი არიან. რა თქმა უნდა, ზოგს შეიძლება შეებრალოს კიდევ, მაგრამ უმრავლესობა დასცინებს. ახია მათზე: სტუჟარს მოიწვევენ, — ვერ მიიღებენ შესაფერისად, სად ან როგორ დასვან, არ იციან. კიდევ უარესი, თუ ვინმე ნათესავი გამოჩნათ და არ დაპატიყეს, დაცინვა და შერცხვენა თქვენ მაშინ ნახეთ! ჰოდა, გადაგვარების გზით მივიდივართ. ზოგიერთ სახლში შესვლაც არ გინდა. თუ მიხველი, გააფურობებ და უკან სასწრაფოდ გამოვარდები. რა მოგველის, როცა ძველები დაიხოცებიან? სწორედ არ ვიცი. როგორ იარსებებს ქვეყანა? იმითი მაინც ვიქნები ბედნიერი, რომ ამას აღარ მოვესწრები და ვერ ვნახავ. (შემოდინ კატერინა და ვარვარა).

### გამოსვლა მე-7

კაბანიხა, კატერინა და ვარვარა

კაბანიხა — (კატერინას). ეს არის ახლა ტრაბახობდი, რომ ქმარი ძალზე მიყვარსო. ვხედავ, როგორც გყვარებია. კარგი ცოლი, ქმარს რომ გააცილებს, პარმალზე უსულოდ დაეცემა და ატირდება. შენ კი... შენთვის ეს ალბათ არაფერია...

კატერინა — რა საჭიროა! არც მეხერხება. ხალხის სასაცილო ხომ არ გავხდები!

კაბანიხა — მაგას რა დიდი მოხერხება უნდა, შენ რომ ქმარი მართლა გიყვარდეს, ტირილსაც მოახერხებდი. თუ წესისამებრ ვერ მოიქცეოდ, მაგალითისათვის მაინც იზამდი. უფრო მოგიხდებოდა. ახლა კი გამოდის, რომ მხოლოდ სიტყვით გყვარებია. ახლა უნდა ვილოცო, ხელი არ შემეშალოთ.



ვარვარა — მე სადმე წავალ, ეზოდან გავალ.

კაბანიხა — (ალერსით). რა მენაღვლება, წადი! სანამ შენი ჯერი არ მოსულა, ისეირნე. შინ ჯდომა მერეც გეყოფა! (კაბანიხა და ვარვარა გადიან).

### გამოსვლა 8-8

კატერინა მარტო

კატერინა — (ჩაფიქრებული). ჩენს სახლში ახლა სიჩუმე დამყარდება. ოხ, როგორი მოწყენილობაა! ვისიმე ბავშვები მაინც იყვნენ. როგორ მწყინს, რომ ბავშვები არ მყავს. სულ მათთან ვიქნებოდი, თავს ვავირობდი. მერე როგორ მიყვარს ბავშვებთან ტიტინი. ისინი ხომ ანგელოზები არიან! უმჯობესი იქნებოდა პატარობისასვე მოემკვდარიყავი. მაღლა ციდან გადმოვხედავდი დედამიწას და თვალს ყველაფერს სიხარულით მოვავლებდი. ან მინდორში გავფრინდებოდი და პეპელასავით ღიღილოდანი ღიღილოზე ვიფარფატებდი. (ჩაფიქრდება). აი რას გავაკეთებ: როგორც ალფუთქვი, რამე საკემს მოვკიდებ ხელს. წავალ, ტილოს ვიყიდი, საცვლებს შევკერავ, ჭერე ღარიბებს დავუბრუნებ და ისინი ჩემთვის ილოცებენ. მე და ვარვარა საკერავენს ჩვეულებით და დრო შეუმჩინებლად გაიბრუნეს. მერე ტიშაც ჩამოვა. (შემოდის ვარვარა).

### გამოსვლა 8-9

კატერინა და ვარვარა

ვარვარა — (სარკესთან თავსაფარს იხურავს). სასეირნოდ წავალ. გლაშა ლოგინს ბაღში გაგვიშლის დედამ ნება დამართო. ჟოლოს ბუჩქნარებს იქით პატარა კიშკარია, დედას ის კარი დაკეტილი აქვს და გასაღებს ინახავს. ის გასაღები მოვიპარე და რომ ვერ შეამჩნიოს, მის მაგიერ სხვა დაედე. აჰა, წაიღე, ვინ იცის, იქნებ საჭირო გახდეს. (აწვდის გასაღებს). თუ ვნახე, ვეტყვი კიშკართან მოვიდეს.

კატერინა — (შეშინებული გასაღებს ხელის კვრით მოიშორებს). არ მინდა! არ არის საჭირო! საჭირო არ არის!

ვარვარა — თუ შენ არ გინდა, მე დამჭირდება. გამომართვი, არ გიკბენს.

კატერინა — ეს რა ჩაიდინე? განა ეს დასაშვებია?! ეს რა ვთქვი? რას ჩაიდი, რას?

ვარვარა — ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს, არც დრო მაქვს საამისოდ. სასეირნოდ მივდივარ. (მიდის).

### გამოსვლა 8-10

კატერინა მარტო

კატერინა — (გასაღები ხელში უჭირავს). ამას რას სჩადის? რას არ მოიგონებს? ახ, გიყია, ნამდვილი გიყი! აი, ჩემი დამლუპავი სწორედ ეს არის. უნდა გადავაგდო! შორს მდინარეში უნდა ვისროლო, რომ ვერასოდეს ვერ იპოვონ. ხელს მწვავს, თითქოს ნაკვერცხალია. (ჩაფიქრდება). ასე, ამნაირად ილუპება ჩვენი დაია. პატიმრობაში ვის გაუხარია? რას არ გაიაზრებს ადამიანი. აი, შემთხვევა! სხვა სიხარულით ცას მისწვდებოდა, თავდავიწყებით მიენდობოდა გატაცებას. შეცდომის ჩადენა ადვილია, მხოლოდ შემდეგ ხდება იგი სატირელი, სანანებელი; სიცოცხლეს სამუდამოდ გაგინწარებს და შენი უმწეო ხვედრი ჩაგშხამდება. (დუმილი). რა მწარეა უუფლებობა! ოხ, რა მწარეა! ვინ არ აუტირებია მას! მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ, დედაკაცი აუტირებია. აი, თუნდაც მე! წყვილადში ვცხოვრობ, იმედის უუქსაც ვერ ვხედავ. ალბათ, ვერც ვერასოდეს დავინახავ. რაც დრო გადის, სიცოცხლე უფრო ძნელდება. ახლა ეს ცოდვილი გრძნობაც ამეკვიატა. (ჩაფიქრდება). დედამთილი რომ არა!.. მან მომსპო, ბოლო იმან მომიღო. ეს ოჯახი მან შემამძულა. აქაური კედლებიც კი მეზიზღება. (ჩაფიქრებული დასცქერის გასაღებს). გადავაგდო? ცხადია, უნდა გადავაგდო. საიდან ან როგორ გაჩნდა იგი ჩემს ხელში მაცდუნებლად, ჩემს დასალუპავად? (ყურს მიუგდებს). ვილაც მოდის. გული მომწყდა პირდაპირ. (გასაღებს ჯიბეში ჩაიდებს). არა... არავინ არის. ასე რამ დამაფრთხო? გასაღებიც დავმალე... ალბათ იქ არის მისი ადგილი. თვით ბედისწერას ალბათ ასე სწავლია! განა ცოდვად ჩამეთვლება თვალი თუ ერთხელ შევაგლე, თუნდაც შორიდან?! ვთქვათ, დაველაპარაკე კიდევ, არც ეს არის დიდი უბედურება! კი მაგრამ, ქმარს ხომ...

თვითონ არ ისურვა. შესაძლოა, ასეთი შემთხვევა ჩემს სიცოცხლეში არ განმეორდეს. მაშინ დაჯექ და იტირე: მქონდა შემთხვევა და ვერ ვისარგებლე-თქო. ამას, რას ვამბობ? თავს ვიტყუებ? უსიკვდილოდ უნდა ვნახო, უსიკვდილოდ! რისთვის ვთვალთმაქცობ? გასაღები გადავაგდო? არა, არასოდეს, არასოდეს! ის ახლა ჩემია... რაც მომივა, დეე, მომივიდეს, ბორისი უსათუოდ უნდა ვინახულო! ოხ, ნეტავ მალე დაღამდებოდეს!..

## მოქმედება მესამე

სცენა პირველი

ქუჩა. კაბანოვების სახლის კიშკარი, წინ მერხი.

### გამოსვლა 1-ლი

კაბანიხა და ფეკლუშა მერხზე ზიან

ფეკლუშა — განკითხვის დღეები დგება, მართა იგნატიევნა, განკითხვის. ყველა ნიშნები ამას მოასწავებენ. თქვენს ქალაქში კიდევ სამოთხე და ნეტარებაა, თორემ სხვა ქალაქებში ნამდვილი სოდომია, შვილო ჩემო! ხმაური, სირბილი, განუწყვეტელი ფაცი-ფუცი. ხალხი სადღაც გამალებით მიეწურება, ზოგი აქეთ, ზოგი იქით.

კაბანიხა — ჩვენ არსად არ მიგვეჩქარება, ჩემო კარგო. აკი ამიტომაც ვცხოვრობთ დინჯად, აურჩქარებლად.

ფეკლუშა — არა, შვილო, ამ თქვენ ქალაქში მყუდროება იმიტომ არის დამყარებული, რომ მკვიდრთა უმრავლესობა, აი, თუნდაც თქვენ, მაღლითა და სათნოებით ყვაფილებივით შემკულხართ. ყველაფერს ამიტომაც მართებულ სიდინჯითა და კეთილსინდისიერებით აკეთებთ. ეს სირბილი, ფაცი-ფუცი კი რას მოასწავებს, შვილო ჩემო? ყოველივე ეს ამოიება! აი, თუნდაც მოსკოვში, ხალხი წინ და უკან გარბის და გამორბის, თვითონაც არ იცის რად! ეს არის ამოება. მოუსვენარი ხალხია, შვილო ჩემო, და ამიტომაც ფუსფუსებენ. ერთს ჰკონია, რომ საქმეზე გარბის, მიიჩქარის საცოდავი და ირგვლივ ვერავის ცნობს; ერვენება, რომ ვიღაც უხმობს, ეძახის, მივა და არაფერიც არ არის, ფუქი ოცნება ყოფილა მხოლოდ, და უკან გულმოკლული ბრუნდება. მეორეს ერვენება, რომ ნაცნობს მისდევს, უნდა დაეწიოს. ფხიზელი თვალისთვის ნა-

თელია, რომ არავინაც არ არის და ტყუილად მისდევს, მაგრამ მას თავის ამოებებისაგან ჰგონია, რომ დაეწევა. ამოება ხომ ბურჟუაზიაა. თქვენში. ასეთ საუცხოო საღამოს, იწვიათად თუ ვინმე გადააბიჯებს თავის ჭიშკარს გადაღმა. მოსკოვში კი ამ დროს ისეთი თამაშობანი, ღრეობა იმართება, რომ არსად ტყეა არ არის. ესეც არაფერი, მარტა იგნატიენა, ახლა კიდევ ცეცხლოვანი გველვეშაპი შეაბეს უღელში და მერე არ იტყვიან რისთვის? სისწრაფისათვის.

კაბანიხა — მსმენია, ეგეც მსმენია, გეთაყვა.

ფეკლუშა — მე კი, ჩემო კარგო, ჩემი თვალთ მინახავს; მოფუსფუსე ხალხს იგი მანქანად ეჩვენება და მანქანას აკი იმიტომაც ეძახიან. ჩემი თვალთ ვნახე როგორ ფარჩხავდა იგი თათებს (უჩვენებს თითებით) და თან საზარლად კვენსოდა, ეს კვენსა კი მხოლოდ მართალთ ესმით.

კაბანიხა — სახელი როგორიც ვინდა მოიგონე, თუნდ მანქანა დაარქვი; ხალხი ბრიყვია, ყველაფერს დაიჯერებს. მე კი, ოქროთი რომ ამავსო, იმითი მაინც არ ვიმზავრებ.

ფეკლუშა — ეს რამ მოგაფიქრა! ღმერთმა დაგისნას ასეთი განსაცდელისაგან. აი კიდევ რა მინახავს მოსკოვში, შვილო, მარტა იგნატიენა: დილაადრიან მივიღვარ, ეს არის ირიერაჟა, ეხედავ, მაღალ, ძალზე მაღალ სახლის თავზე კუპრივით შავად სახეგამურული ვილაცა დგას. თვითონაც მიხედვებით ვინც იქნებოდა. ხელებს აქნევს ისე, თითქოს რასმე აბნევდეს, მაგრამ ძირს არაფერი კი არ ცვივა. მაშინვე მივხვდი, რომ ღვარძლს თესავდა. დღისით კი ეს ამოდ მოფუსფუსე ხალხი თავისი უვიცობის გამო კრეფს ამ ღვარძლს. აკი იმიტომაც არიან ვერე გამხდრები, ვერაფრით გასუქებულან. ისეთნი არიან, თითქოს რაღაც დაჰკარგოდეთ ან რასმე ეძებდნენ; თან ისეთი ნაღვლიანი სახე აქვთ, რომ შეგეცოდებათ.

კაბანიხა — ყველაფერი მოსალოდნელია, ჩემო კარგო! ჩვენს დროში არაფერი არ არის გასაკვირი!

ფეკლუშა — მძიმე დროა, შვილო, მარტა იგნატიენა, აუტანელი. დროც კი შემცირდა, დაპატარავდა.

კაბანიხა — როგორ თუ შემცირდა?

ფეკლუშა — ასეა სწორედ. ჩვენ ვერ ვამჩნევთ, მაგრამ ჭკვიანი ხალხი ამჩნევს, რომ დრო თანდათან კლებულობს, მცირდება. მახსოვს ზამთარი ან ზაფხული რომ დაიწყებოდა, დასასრული არ უჩნდა. ახლა კი, გგონია გაზაფხული ჯერ ხეირიანადაც არ დამდგარა და კიდევ გარბის. თითქოს დღე, საათები იგივეა, დრო კი ჩვენი ცოდვებისაგან კლებულობს და კლებულობს. ასე ამბობს ჭკვიანი ხალხი.

კაბანიხა — უარესსაც უნდა ველოდეთ.

ფეკლუშა — ოლონდ ჩვენ ნუ მოვესწრებით და...

კაბანიხა — ვინ იცის, შესაძლოა კიდევ მოვესწროთ. (შემოდის დიკოი).

### გამოსვლა მ-2

იგნივე და დიკოი

კაბანიხა — რაშია საქმე, ნათლი, ასე გვიან რას დაეხეტები?

დიკოი — როგორ? მიკრძალავს ვინმე, თუ?

კაბანიხა — არა, ვინ ავიკრძალავს ან ვის რა ენაღვლება!

დიკოი — მაშ სალაპარაკოც არაფერია. როგორ? ვისიმე ხელქვეითი ვარ, თუ? შენ აქ რა ყოფაში ხარ? რომელი ეშმაკის ან ალქაჯის მოციქული ხარ!..

კაბანიხა — აბა, ჭკუით, ძალიან კი ნუ აყროყინდები! წადი და ვინც შეგიშინებია ისევე ის შეაშინე! ჩემთან ვერას გაიტან! წადი, წადი, გზას ბარაქა დააყარე! წავიდეთ შინ, წამო, ფეკლუშა. (დგება).

დიკოი — დაიცა, ნათლიდედ, დაიცა, ნუ ფიცხობ. შინ წასვლას მერეც მოვესწრები. ცხრა მთას იქით ხომ არ არის ის შენი სახლი. აი ისიც!

კაბანიხა — თუ საქმე გაქვს, ნუ კი ღრიალებ, დალაგებით ილაპარაკე.

დიკოი — არავითარი საქმე არ მაქვს, მოვრალი ვარ, სხვა არაფერი!..

კაბანიხა — მერე ხომ არ უნდა გაქოთ და გადიდოთ ამისათვის?

დიკოი — ნურც მაქებთ და ნურც მაგინებთ. რაკი დავით-ვერ, — გათავებული საქმეა, სანამ კარგად არ გამოვიძინებ, ამ საქმეს არაფერი ეშველება.

კაბანიხა — მერე წადი და დაიძინე.

დიკოი — სად უნდა წავიდე?

კაბანიხა — შინ. მაშ სად?

დიკოი — შინ წასვლა თუ არ მინდა?

კაბანიხა — ვითომ რატომ?

დიკოი — იმიტომ, რომ იქ ომია გამართული.

კაბანიხა — შენ სახლში სხვა ვინ უნდა ომობდეს? მეომარი შენს გარდა იქ არავინ არის.

დიკოი — ვიცი, რომ მეომარი ვარ, მერე რა გინდა მაგითი თქვაა?

კაბანიხა — რა? არაფერი. აბა რა სასახელოა, შენი დღე და მოსწრება სულ რომ დედაკაცებს ეომები? აი რა!

დიკოი — ეს იმას ნიშნავს, რომ მე უნდა მემორჩილებოდნენ. როგორ, მაშ მე დავემორჩილო იმათ?

კაბანიხა — ძალიან კი მიკვირს შენი ამბავი: რამდენი ხალხია შენს სახლში და ვერც ერთმა შენი გული ვერ მოიგო.

დიკოი — შენ ეგა სთქვი და!

კაბანიხა — ჩემგან რაღა გინდა?

დიკოი — რა მინდა და საუბარი. მინდა ერთი გული გადავყოლო. მთელ ქალაქში მხოლოდ შენ გეხერხება მუსაიფით ჩემი გართობა.

კაბანიხა — წადი, ფეკლუშა, უთხარ საუხმე მოამზადონ. (ფეკლუშა გადის). შინ შევიდეთ.

დიკოი — არა, შინ არ მინდა, კედლები სულს მიხუთავენ.

კაბანიხა — რით გავაბრაზეს ასე სასტიკად?

დიკოი — მერე დილიდანვე.

კაბანიხა — ფული თუ გთხოვეს?

დიკოი — თითქოს პირი შეკრეს იმ წყეულებმა: ხან ერთი, ხან მეორე, მთელი დღე არ მასვენებენ.

კაბანიხა — ალბათ სჭირდებათ, რახან არ გასვენებენ.

დიკოი — განა არ მესმის, მაგრამ რა ვქნა, რა მოვუხერხო ამ ოხერ გულს! ხომ ვიცი, რომ მისაცემია, ვერსად გავიქცევი,

მაგრამ ნებაყოფლობით არ შემიძლია. მეგობარი ხარ ჩემი, გერგება, ვალდებული ვარ მოგცე, მაგრამ აბა ერთი გაბედე და მთხოვე, — გაგთაძხავე, მიწასთან გაგასწორებ. მოცემით მოცემე, მაგრამ ვაი იმ მოცემას, გათათხავა ჩემგან არ ავშორდება. ფულს მიხსენებენ თუ არა, სახეზე აღმური მომედება, ვიწვი, ვიდავვი და შეიძლება მაშინ ტყუილ-უბრალოდ გამოვლანძლო ადამიანი.

კაბანიხა — პატრონი არ გყავს და იმიტომ ხარ აგრე გათავხედებული, გადიდგულებული.

დიკოი — დაიცა, მეზობელო, დაიცა! მოისმინე! ისეთი ამბები შემემთხვა რომ გაოცდები. ერთხელ, დიდმარხვაში, ცხადია, ვმარხულობ. საზიარებლად ვემზადები. სწორედ ამ დროს, რალაც ეშმაკად, შეშის მომტანი გლეხი გამომეცხადა... ფული ერგებოდა. ის ჩემი ცოდვით სავეს მაინცდამაინც რალა ამ დროს შემომეხირა. ვერ შევიკავე თავი და შევცოდე: ისე ვლანძღე, ვაგინე, რომ უკეთესი არ შეიძლება, კინალამ მივბეგვე. ასეთი გული მაქვს. მერე, იცოცხლე, მე იმას პატიება ვთხოვე, ფეხქვეშ გავეგე. სინილის ვფიცავ, გლეხს მუხლ-მოყრით პატიება ვთხოვე, იქვე სახალხოდ. აი სადამდე მივყავარ ამ ჩემს გულს.

კაბანიხა — კი, მაგრამ ძალით რად მოგდის გული? ეს არ არის კარგი.

დიკოი — როგორ თუ ძალით?

კაბანიხა — ვიცი, დაგკვირვებია. შეამჩნევ თუ არა, რომ რალაც უნდა გთხოვონ, აიღებ და განზრახ ვინმე შინაურს ეცემი. აუტებ აურზაურს, რომ გული მოგივიდეს; ამას იმიტომ აკეთებ, რომ იცი, გაბრაზებულს არავინ მოგეკარება. ასეა, ასე, მეზობელო.

დიკოი — მერე რა, თავისი ქონება ვის არ ენანება? (შემოდის გლაშა).

გლაშა — მარფა იგნატიენა, საუხმე გაშლილია. მობრძანდით!

კაბანიხა — აბა, მეზობელო, მობრძანდით! შევექცეთ, რაც ღმერთს მოუცია!

დიკოი — რა გაეწყობა.

კ ა ბ ა ნ ი ხ ა — მობრძანდით!.. (ვატარებს დიკოს და უკან გაჰყვება. გლაშა გულზედლაკრფილი დვას ჭიშკართან).

გ ლ ა შ ა — ბორის გრიგორიჩი მოდის. ბიძას თუ ეძებს? ან შეიძლება სეირნობს. (შემოდის ბორისი).

### გ ა მ ო ს ვ ლ ა მ ე - ვ

გ ლ ა შ ა, ბ ო რ ი ს ი, შ ე მ დ ე გ კ უ ლ ი გ ი ნ ი

ბ ო რ ი ს ი — ბიძაჩემი თქვენსა ხომ არ არის?

გ ლ ა შ ა — ჩვენსაა. გჭირდებათ თუ?

ბ ო რ ი ს ი — შინიდან გამომგზავნეს, გავიგო სად არის. რაკი თქვენსაა, იყოს, ვის რად სჭირდება. სიხარულით ცას სწვდებიან, რომ შინ არ არის.

გ ლ ა შ ა — ჩემი ქალბატონის ქმარი იყოს, ნახავდი როგორ მალე მოათვინიერებდა. ერთი ჩემს ბრიყვობას დახედეთ, აქ რას გავდგომივარ! მშვიდობით. (წავა).

ბ ო რ ი ს ი — ღმერთო! ერთი თვალი მომაკვრევინა, სხვა არა მინდა რა! შესვლა არ შემიძლია: დაუბატიეებლად ხომ ვერ მივალ. განა ეს ცხოვრებაა! ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, თითქმის გვერდი-გვერდს, კვირაში კი ერთხელ ვხვდებით ერთმანეთს, ისიც ეკლესიაში, ან გზაზე. ეს არის და ეს. აქ ქალი გათხოვდება თუ არა, დამარხულად უნდა ჩაითვალოს. (ღუმილი). ნეტავი სულაც არ მენახა, ასე არ დავიტანჯებოდი. ათასში ერთხელ თუ შევხვდები, ისიც სახალხოდ, როცა ასი თვალი მიცქერის. გულს ვასკდები და სხვა არაფერი. ამ ჩემს გრძობასაც რომ ვერ მოვერიე. სასეირნოდ გამოვალ, ვივლი, ვივლი და ბოლოს თავს მაინც ამ ჭიშკართან ამოვყოფ. ნეტავ აქ რას მოვეხეტებ? მის ნახვას ხომ მაინც ვერ ვახერხებ, ხალხს საჭორიკანო საბაბს კი ვაძლევ. შეიძლება უსიამოვნებაც შეხვდეს ამის გამო. ეს რა დაწყევლილი ქალაქი ყოფილა, დალახვროს ღმერთმა! (მოდის, შეეფეთება კულიგინი).

კ უ ლ ი გ ი ნ ი — რაო, ძვირფასო, სეირნობ?

ბ ო რ ი ს ი — ვსეირნობ ჩემთვის, ძალიან კარგი საღამოა.

კ უ ლ ი გ ი ნ ი — სწორედ ახლაა კარგი სეირნობა. სწყენარე, სუფთა ჰაერი, ვოლგის გადაღმა მინდვრებიდან წიავს ყვავილების სურნელება მოაქვს, ცა მოწმენდილი და ვარსკვლავი-

ბით სავსე... „ვარსკვლავს რიცხვი არა აქვს, ცას კი დასასრული“. წავიდეთ ხეივანში, გავისეირნოთ, ახლა იქ ხალხის ჭაჭანებაც არ არის.

ბ ო რ ი ს ი — წავიდეთ.

კ უ ლ ი გ ი ნ ი — ასეთია, ჩემო კეთილო, ჩვენი ქალაქი. ხეივანი გააშენეს და არავინ არ სეირნობს. მხოლოდ უქმე დღეს თუ მოიყრიან თავს, მაგრამ არა სასეირნოდ, არამედ მორათულ-მოკაზმულობის გამოსაჩენად. სამიკიტნოდან მომავალ მთვრალ მოხელეს თუ წააწყდები. ლატაკ ხალხს, ჩემო კარგო, სასეირნოდ არ სცალია, დღესა და ღამეს შრომაში ატარებს, დღე-ღამეში სამი საათი თუ სძინავს. მდიდრები რაღას აკეთებენ? იმათ ხომ მაინც აქვთ მოცალეობა, — ისეირნონ, სუფთა ჰაერი ისუნთქონ! შენც არ მომიკვდე! დიდიხანია რაც მათ ყველას ჭიშკარი გამოკეტილი აქვთ, ძაღლები აშვებული ჰყავთ... შეიძლება იფიქროთ, რომ ისინი საქმეს აკეთებენ, ან ღმერთს ევედრებიან. არა, ჩემო კარგო! არც ქურდების შიშით კეტავენ ჭიშკარს ასე მაგრა. ისინი იმიტომ იკეტებიან, რომ ხალხმა ვერ დაინახოს, როგორ ცოცხლად სჭამენ თავისიანებს და აწამებენ თავისივე ოჯახის წევრებს. რამდენი ცრემლი იღვრება უხმოდ, უჩინრად ამ ურდულებს იქით. რაღა ჩემი განმარტება გჭირდებათ, როცა ეს საკუთარი გამოცდილებითაც იცით. მერე როგორი გარყვნილება, ლოთობაა გაჩაღებული ამ ბოქლომებს იქით. და ყოველივე ხდება ნაშალავად, ქურდულად. არავინ არაფერი იცის, მხოლოდ ერთი ღმერთია ამის მოწმე! შენ, ამბობენ ისინი, ხალხში, ქუჩაში მიცქირე, ჩემს ოჯახთან რა ხელი გაქვსო, ბოქლომები, ურდულები ამიტომ გვაქვსო, ავი ძაღლები ამიტომ გეყავსო. ოჯახი საიდუმლო, ფარული რამ არისო! ვიცით, კარგად ვიცით რა საიდუმლოებაც არის ეს საიდუმლო. მხოლოდ თვითონ სიამოვნებენ, სხვებს შავი ცრემლით ატირებენ, აკვნესებენ. მერე და რა საიდუმლოებაა ისეთი? ვინ არ იცის ეს! ობლების, ნათესაების, ძმისწულების ძარცვა, შინაურების ისე გასავათება, რომ კრინტი ვერაფერზე დასძრან. ეს არის მთელი მათი საიდუმლოება. დიახ, ღმერთმა ხეირი მისცეთ. იცით კი, ჩემო

კარგო, ვინ სეირნობს და დროს ვინ ატარებს? ახალგაზრდა ქალ-ვაჟები. ისინიც თავისავე თავს ქურდავენ, ძილს იკლებენ, წყვილ-წყვილად სეირნობენ... ეს წყვილიც... (გამორჩევიან ვარა და კუდრიაში, კოცნიან ერთმანეთს).

ბორისი — კოცნიან ერთმანეთს.

კულიგინი — ამ მხრივ არა გვიშავს რა, ბედს ვერ დავემდურებით. (კუდრიაში მიდის. ვარვარა თავის ჭიშკარს უახლოვდება და თან ბორისს უხმობს).

#### გამოსვლა მე-4

ბორისი, კულიგინი და ვარვარა

კულიგინი — მე, ჩემო კარგო, ხეივანში გავისეირნებ. აბა ხელი რათ შევიშალოთ! იქ დაგიცდით.

ბორისი — კეთილი, მეც მალე შოვალ. (კულიგინი მიდის).

ვარვარა — (თავსაფარს აიშარებს). კაბანოვების ბაღის უკან რომ ხეგია, იცი?

ბორისი — ვიცი.

ვარვარა — იქ მოდი, ოღონდ შეგვიანებით.

ბორისი — რატომ?

ვარვარა — რა ბრიყვი ხარ. მოდი და მიზეზს იქ გაიგებ. ახლა წადი, გელოდებიან. (ბორისი მიდის). ვერ მიცნო! იმტვრიოს თავი. ნამდვილად ვიცი, რომ კატერინა ვერ მოითმენს და უსათუოდ იქ გაჩნდება. (შედის ჭიშკარში).

#### სცენა მეორე

ლამე. ბუჩქნარით დაფარული ხევი; ზემოთ კაბანოვების ბაღის ღობე და პატარა ჭიშკარი; უფრო ზემოთ ბილიკი.

#### გამოსვლა 1-ლი

კუდრიაში — (შემოდის გიტარით). არავინ არის. ნეტავი რათ იგვიანებს! რა გაეწყობა, უნდა დაველოდო. (ჩამოჯდება ქვაზე). სიმღერით მაინც გავერთობი. (მღერის):

ჰეი, დონელო კახაკო, ცხენს წყლისკენ რათ მიაქროლებ?

ჰეი, კეთილო, წყალს ასმევ, მერე ისევ შინ გაჩნდები.

ზედ კარიბჭესთან შედგები, თანაც ფიქრებში გადახვალ,

ცოლს დაუყვავებ, ან მოჰკლავ, გაწბილებული არ წახვალ.

ქალის ვედრება ჩაგწვდება კეთილი გულის სიღრმეში, გულს მოიბრუნებ, შეიცვლი ბნელ ვარსკვლავიან ღამეში; შეისმენ გულწრფელ მუდარას: კახაკო, შენი ვიქნები, ნუ მღუპავ, თავს ნუ იფუჭებ ეჭვშერყეული ფიქრებით, მაგამე ტკბილი საღამო დონზე ნათენი ნისლითა, ღამის წყვდიადში მომკალი, გული დაიცხრე სისხლითა, ბავშვები ხელს არ შეგიშლის თავის უდარდელ ძილითა, დედის მაგიერ პატარებს ვინ მოგებოს დილითა. ჰეი, დონელო კახაკო, ცხენს წყლისკენ რათ მიაქროლებ? ჰეი, კეთილო, წყალს ასმევ, მერე ისევ შინ გაჩნდები.

(შემოდის ბორისი).

#### გამოსვლა მე-2

კუდრიაში და ბორისი

კუდრიაში — (შეწყვეტს სიმღერას). ბიჭოს! ერთი ამას დამიხედე. ეს მორცხვი და თავდაპირილი კაციც რომ სანავარდოდ გამოსულა!

ბორისი — კუდრიაში, შენა ხარ?

კუდრიაში — მე ვარ, ბორის გრიგორიჩ!

ბორისი — აქ რა გინდა?

კუდრიაში — მე მეკითხები? ალბათ საქმე მაქვს, ბორის გრიგორიჩ, რაკი აქა ვარ. მაშ უსაქმოდ აქ რა გამაჩერებს? თქვენ საით?

ბორისი — იცი რა, კუდრიაში, მე აქ უნდა დავრჩე, საქმე მაქვს; შენთვის კი, ვფიქრობ, სულერთია, შეგიძლია სხვაგან წახვიდე. (შეათვალისწინებს ადგილმდებარეობას).

კუდრიაში — ბორის გრიგორიჩ, გატყობთ, თქვენ აქ პირველად უნდა იყოთ. მე კი შეჩვეული ვარ ამ ადგილს და ეს ბილიკიც ჩემი გატყეპნილია. დიდად მიყვარხართ, ძვირფასო, ყოველგვარ პატივისცემისათვის მუდამ მზად ვარ, მაგრამ ამ ბილიკზე ღამით ერთმანეთს ნუ შეეხვებით. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ შეიძლება ერთმანეთს ვაწყენინოთ. ცოდვა გამძლეანებული სჯობია.

ბორისი — რა მოგდის, ვანია?

კუდრიაში — რა ვანია! ვიცი, რომ ვანია ვარ. უმჯო-

ბესია აქედან შეაყოლო. შენც გაიჩინე ვინმე და ისეირნე, რამდენიც მოგესურვოს. კაცი ხმას არ გაგცემს. ხოლო სხვისას ხელი უშვი. ჩვენი ბიჭები ამას არ მოგიწონებენ და შესაძლოა ფეხებიც მოგამტვრიონ. ჩემს გოგონას კი... არ ვიცი რას გიზამ. ყელს გამოგლადრაგ!

ბორისი — ტყუილ-უბრალოდ ცხარობ, ჩემო კარგო. ფიქრადაც არ მომსვლია, რომ სიყვარულში შეგეცილო. თვითონ მიხმო, თორემ ისე რას მოვიდოდი.

კუდრიაში — ეს ვინ გიხმო?

ბორისი — ვერ გავარჩიე, ბნელოდა. ვილაც გოგონამ გამაჩერა ქუჩაში და მითხრა, ამ ადგილს, კაბანოვების ბაღის უკან გამოვსულიყავ.

კუდრიაში — ნეტავ ვინ უნდა იყოს, ა?

ბორისი — გამიგონე, კუდრიაში, გულახდილად რომ გითხრა რამე, ხომ არ გამამხელ?

კუდრიაში — ფიქრი ნუ გაქვს! სამარე ვარ!

ბორისი — თქვენებური ადათისა და წესის არაფერი გამეგება. საქმე კი ისეთია, რომ...

კუდრიაში — შეგიყვარდა ალბათ ვინმე, ხომ?

ბორისი — ასეა, კუდრიაში!

კუდრიაში — მერე და რა მოხდა, რაა აქ არაჩვეულებრივი? ჩვენში ამ მხრივ სრული თავისუფლებაა. ქალიშვილები თავის ნებაზე ნავარდობენ, დედ-მამას არაფერსაც არ ეკითხებიან. სამაგიეროდ გათხოვილები ცხრაკლიტულში ჰყავთ დამწყვედული.

ბორისი — მეც სწორედ ეგ მადარდებს.

კუდრიაში — ნუთუ გათხოვილი ქალი შეგიყვარდა?

ბორისი — გათხოვილი, კუდრიაში, გათხოვილი.

კუდრიაში — ეხ, ბორის გრიგორიჩ, უმჯობესია ხელი აიღოთ მაგ საქმეზე, თავი დაანებოთ.

ბორისი — ადვილი სათქმელია — თავი დაანებე! შენთვის ალბათ სულერთია; ერთს დაანებებ თავს, — მეორეს იპოვნი. მე კი ასე არ შემიძლია. რაკი შემიყვარდა...

კუდრიაში — ეს იმას ნიშნავს, ბორის გრიგორიჩ, რომ თქვენ მისი დალუბვა გინდათ.

ბორისი — ღმერთმა დამიფაროს. ღმერთო, მიხსენ მე, მონა შენი! არა, კუდრიაში, რას ამბობ! განა მას ასე გავიმეტებ. დროგამოშვებით სადმე რომ შეეხვდებოდე, სხვა არა მინდა რა მისგან.

კუდრიაში — ძნელი საქმეა! სახიფათო საქმეა! მერე რა ხალხთან ვაქვთ საქმე, თვითონაც იცით, კარგად იცით მათი ზნე და ხასიათი. შესქამენ, კუბოში ცოცხლივ ჩასქვდავენ.

ბორისი — ნუ ამბობ მაგას, კუდრიაში, თუ ღმერთი გწამს, გულს ნუ მიხეთქავ!

კუდრიაში — მას უყვარხართ?

ბორისი — არ ვიცი.

კუდრიაში — თუ შეხვედრიხართ ერთმანეთს?

ბორისი — მხოლოდ ერთხელ ვიყავ მათსა, ბიძაჩემს ვახლდი. ისე კი ხან საყდარში და ხან ხეივანში ვხვდებოდით ერთმანეთს. ოხ, კუდრიაში, როგორ ლოცულობს იგი, ნეტავ ერთხელ გაჩვენა მაინც. მართლაც რომ ანგელოზური ღმირი დაჰნათის სახეზე, თითქოს ციური სხივი გამოკრთის მისგან.

კუდრიაში — ეს ხომ კაბანიხას რძალია!

ბორისი — ის არის, კუდრიაში, ის!

კუდრიაში — ხედავ თურმე რაში ყოფილა საქმე! მაშ, მომილოცავს!

ბორისი — რას მილოცავ?

კუდრიაში — როგორ თუ რას? აქ დაგიბარა, ჩანს, საქმე გაჩარხულა და ის არის.

ბორისი — ნუთუ მართლა მან დამიბარა?

კუდრიაში — მაშ ვინ?

ბორისი — არა, შენ ხუმრობ! ეს დაუჯერებელი რამ არის. (თავზე ხელს წაივლებს).

კუდრიაში — რა მოგდით?

ბორისი — ღამის არის სიხარულისაგან გავგიჟდე!

კუდრიაში — სწორია. მაგის გამო მართლაც ღირს გავიყებ! მხოლოდ ჰკუთით იყავით, ხაფანგში არ გაებათ და იმასაც უბედურება არ წაჰკიდოთ. მართალია, მისი ქმარი ცოტას მოისულელებს, სამაგიეროდ დედამთილი მძვინვარეა და აფთარი. (ფარვარა ვაზოდის ჰიშკრიდან).

ივინივე და ვარვარა. შემდეგ კატერინა

(ვარვარა ჭიშკართან მღერის. კუდრიაში მის სიმღერას განაგრძობს. ვარვარა შემოდის ბილიკით და სახემობურული უახლოვდება ბორისს).

ვარვარა — შენ, ჭაბუკო, დაელოდე და იცოდე, რომ ლოდინი ფუჭად არ ჩაგივლის. (კუდრიაში). წავიდეთ ვოლგაზე. კუდრიაში — აქამდე სად იყავი? ლოდინმა დამალა! ხომ იცი, არ მიყვარს ლოდინი! (ვარვარა ხელს გადახვევს და ჩაველენ).

ბორისი — თავი სიზმარში მგონია! ასეთი ღამე, სიმღერა, პაემანი! ხელგადახვეულთა სეირნობა. ყოველივე ეს ახალი და უჩვეულოა ჩემთვის. რა კარგია, რა საამო და სასიხარულო ყოველივე ეს. აი მეც ველი ვიღაცას. მაგრამ რას ველი, თვითონაც არ ვიცი, წარმოდგენაც არ შემძლია. მხოლოდ გული არ მიცდის საგულეში, ყოველი ნაკვთი მიცახცახებს. ვერც კი მომიფიქრებია რა ვუთხრა. სუნთქვა მეკვრის, მუხლთ შეკეცება. ეს ბრიყვი გული რომ აფორიაქდება, მერე ვერაფრით ვერ დავაშოშმინებ. აი, მოდის კიდეც!

(განიერსა და თეთრ შალში გახვეული კატერინა ნელა ჩამოდის ბილიკზე, თან მიწას დასცქერის. დუმილი).

თქვენა ხართ, კატერინა პეტროვნა? (დუმილი). არც კი ვიცი როგორ გადაგიხადოთ მადლობა. (დუმილი). რომ იცოდეთ, კატერინა პეტროვნა, როგორ მიყვარხართ. (ხელი უნდა მოჰკიდოს).

კატერინა — (შეშინებული, მაგრამ თავს მაღლა მაინც არ სწევს). ნუ... ხელს ნუ ნახლებთ! ნუ! ოხ! ოხ!

ბორისი — ნუ მიჯავრდებით.

კატერინა — მომშორდით! გამეცალეთ, შეჩვენებულთა ადამიანო! არ იცი განა, რომ ამ ცოდვას ლოცვით ვერასოდეს ვერ მოვიხსნიებ? იგი ლოდად დააწვება ჩემს გულს, მძიმე ლოდად!

ბორისი — ნუ, ნუ გამაგდებთ!

კატერინა — რისთვის მოხველი? რისთვის მოხველი, ჩემო დამლუპველო? მე ხომ ქმარი მყავს და კუბოს ფიცრამდე მისი ერთგული უნდა ვიყო.

ბორისი — თქვენ თვითონ მიხმეთ.

კატერინა — ხომ გაიგონეთ, ჩემო წამწყმედელო: კუბოს ფიცრამდე მისი ერთგული უნდა ვიყო მეთქი, კუბოს ფიცრამდე! ბორისი — ნეტამც სულ არ შენახეთ!

კატერინა — (აღლევბული). ამას რას ჩავედივარ! რა ჯოჯოხეთს ვუმზადებ ჩემს თავს!

ბორისი — დამშვიდდით! (მოკიდებს ხელს). დაჯექით!

კატერინა — რათ გინდათ ჩემი დალუპვა?

ბორისი — როგორ ვისურვებ თქვენს დალუპვას, როცა ქვეყანას მირჩვენინხართ, საკუთარ თავზე მეტად მიყვარხართ!

კატერინა — არა, არა, შენ მე წამწყმედი! შენ მე დამლუპე!

ბორისი — განა მე ვგრე ვერაგი ვარ?

კატერინა — (თავის ქნევით). დამლუპე, დამლუპე!

ბორისი — ღმერთმა დამიფაროს, უმჯობესია მე დავილუპო!

კატერინა — აბა როგორ არ დამლუპე! მაშ რა არის ეს? ღამით ვტოვებ ოჯახს და შენთან მოვიდივარ.

ბორისი — ეს ხომ საკუთარი ნება-სურვილითაა?

კატერინა — მე არ გამაჩნია ნება-სურვილი. საკუთარი ნება-სურვილი რომ მქონდეს, შენთანაც არ მოვიდოდი! (შეზღავს ბორისს, მცირე დუმილი). ახლა შენი ნება-სურვილი მატარებს თავის ნებაზე, განა ვერ ხედავ? (ეხვევა კისერზე).

ბორისი — (ეხვევა). ჩემო სიცოცხლე!

კატერინა — იცი რა? ახლა უცებ სიკვდილი მომიხდა!

ბორისი — რათ უნდა მოკვდეთ, როცა სიცოცხლე ასე კარგია?

კატერინა — არა, მე არ ვიცოცხლებ! ვიცი, სიცოცხლე არ მიწერია.

ბორისი — აბა, რას ამბობ, გეთაყვა, გულს ნუ მიკლავ...

კატერინა — შენ რა გიშავს, ლაღად მონავარდე კაზაკი ხარ, მე კი...

ბორისი — ჩვენს სიყვარულს ვერავინ შეიტყობს. განა არ დაგზოვავ? არ შეგიბრალებ?

კატერინა — ეხ, რა აზრი აქვს ჩემს შებრალებას! დამნაშავე არავინ არის, ყველაფერი ჩემი ბრალია. ნუ გებრალები,



თუ დასაღუბავი ვარ, დეე დავიღუპო! ყველამ იცოდეს, ყველამ გაიგოს, თუ რას ჩავდივარ! (მოეხვევა ბორისს). თუ შენთვის ცოდვას არ შეეუშინდი, განა ხალხის მსჯავრს შეეუშინდები? ამბობენ, რაიმე ცოდვისთვის ამ ქვეყნად თუ დაისჯები, იქ, საიქიოს შეგიმსუბუქდებაო.

ბორისი — განა შეიძლება ამაზე ფიქრი, როცა განცხრომას უნდა ვეძლეოდეთ!

კატერინა — შენ მართალი ხარ, ფიქრსა და ტირილს მარტობაშიც მოვესწრები.

ბორისი — შიში მიპყრობდა, მეგონა გამავდებდი, ახლოს არ გამიკარებდი.

კატერინა — (ღიმილით). არ გაგიკარო, გაგავდო? ვაი, რომ არ შემიძლია! გული ამას როდი მანებებს! რომ არ მოსულიყავ, მგონია, თვითონ მოგძებნიდი.

ბორისი — რა ვიცოდი, თუ შენც ვიყვარდი.

კატერინა — დიდიხანია რაც მიყვარხარ. თითქო განზრახ ჩემს საწამებლად ხარ ჩამოსული. როგორც კი დაგინახე, ქუსა დავკარგე. ასე მგონია, რომ მითხრა, თან გამოგყვები, თუნდაც ცხრა მთას იქეთ იყოს, დაუღალავად ვივლი!

ბორისი — ქმარი დიდიხნით გაემგზავრა?

კატერინა — ორი კვირით.

ბორისი — მაშ ვინავარდებთ! დრო საკმაოა.

კატერინა — ვინავარდებთ, ვილაღებთ და მერე... (ჩაფიქრდება). ისევ შინ ჩამკეტავენ, კარს ბოქლომს დაადებენ, სიკვდილს მომანატრებენ! შემთხვევა თუ მომეცა, უსათუოდ გინახულვებ!

(შემოდინა კუდრიაში და ვარვარა).

### გამოსვლა მე-4

ივინივე, კუდრიაში და ვარვარა

ვარვარა — როგორ არის საქმე? გაჩარხეთ თუ არა?

(კატერინა სახეს ბორისის გულ-მკერდში ჩამალავს).

ბორისი — ჩინებულად!

ვარვარა — წადით, გაისეირნეთ, ჩვენ აქ დაგელოდებით. როცა დრო იქნება, ვანია განიშნებთ.

(ბორისი და კატერინა გადიან. კუდრიაში და ვარვარა ქვაზე ჩანოსხდებიან).

კუდრიაში — ეს რა კარგი რამ მოიფიქრეთ: ბალის ქიშკარი. ჩვენსავით ხაფანგში გახლართულ ადამიანებისთვის ეს ზედმიწევნით ხელსაყრელია.

ვარვარა — ეს ჩემი საკუთარი მოფიქრებაა.

კუდრიაში — ჭეშმარიტად ჩინებულა! ჩინებულა! დედამ რომ გაგივოთ?

ვარვარა — ერთი შენც! ვერასოდეს ვერ მოიფიქრებს!

კუდრიაში — ვთქვათ, ჩვენდა საუბედუროდ მოაფიქრდა, მაშინ?

ვარვარა — პირველი ძილი გულდაგულ იცი, გარიყრავის ხანს ფხიზლობს ხოლმე.

კუდრიაში — ვინ იცი! ვთქვათ, ეშმაკი შეუჩნდა და აქეთ წამოიყვანა, მაშინ?

ვარვარა — მერე რა! ბალს და ეზოს შუა ქიშკარი აქედან იკეტება; კაკუნით თავი გაბეზრდება და უკანვე გაბრუნდება. დილით თავს იმით გაეიმართლებთ, რომ ღრმად გვეძინა. ვეტყვით, იმიტომ ვერ გავიგონეთო. მერე და გლაშაც გვეყარაულობს, ხიფათის დროს ხმას ის მოგვაწვდის. სიფრთხილეს თავი მაინც არ ასტკივა. წინდახედულობა მაინც აუცილებელია. რა იცი, ბედი რას გიმზადებს. (კუდრიაში ჩამოჰკრავს სიმებს, ვარა კუდრიაში მხარზე მიეყრდნობა. კუდრიაში თავისთვის უკრავს).

ვარვარა — (ამოქნარებს). ნეტავ რომელი საათია?

კუდრიაში — პირველი დაიწყო.

ვარვარა — საიდან იცი?

კუდრიაში — დარაჯი სარეკელას აკაკუნებდა.

ვარვარა — (მოქნარებით). დროა, აბა ერთი გასძახე. ხვალ ადრიახად გამოვიდეთ და მაშინ მეტი დრო გვექნება.

კუდრიაში — (უსტვენს, თან ხამაღლა მღერის):

ყველა სახლში ბრუნდება,

მე კი არ მიჩქარება.

ბორისი — (ტყუის გარედან). მესმის!

ვარვარა — (დგება). მაშ მშვიდობით! (ამოქნარებს. მერე ცივად კოცნის, როგორც დიდიხნის ნაცნობს). აბა შენ იცი, ხვალ

ადრიანად გამოდი. (ბორისისა და კატერინას მიმართულებით იცქირება). გეყოფათ ამდენი გამომშვიდობება, თითქო სამუდამოდ ეთხოვებოდეთ ერთმანეთს. ხვალაც ერთად იქნებით. (ამოქნარებას, თან იზმორება. შემორბის კატერინა, შემდეგ ბორისი).

### გამოსვლა მე-5

იგინივე, ბორისი და კატერინა

კატერინა — (ვარვარას). აბა წავიდეთ! (მიდის ბილიკით, შემდეგ მოტრიალდება). მშვიდობით!

ბორისი — ხვალამდე!

კატერინა — ოჰ, ხვალამდე! რაც სიზმარში ნახო, მითხარი! (მიდის კიშკართან).

კუდრიასი — (დამღერის გიტარაზე):

სანამ დროა ისეირნე, გოგონი,  
რას დაეძებ, დილაა თუ საღამო!  
ეჭ, გოგოვ, გოგოვ, აჰი, გოგონი,  
რას დაეძებ, დილაა თუ საღამო!

ვარვარა — (კიშკართან):

ეჭ, გოგოვ, ვიდრე დროა, გოგონი,  
ისეირნე, თუ გსურს გათენებამდე.  
ეჭ, გოგოვ, გოგოვ, აჰი, გოგონი,  
ისეირნე, თუ გინდ გათენებამდე!  
(მიდის).

კუდრიასი — (მღერის):

როგორც კი მზე თავს ამოჭყდის, გოგონი,  
გაეშურე შინისაკენ, გოგონი!  
ეჭ, გოგოვ, გოგოვ, აჰი, გოგონი,  
გაეშურე შინისაკენ, გოგონი! და სხვა...

### მოკმელება მეოთხე

პირველ პლანზე კამარიანი დერეფანი, ძველებურ ნგრევადაწყებულ შენობაში; აქა-იქ ბალახი და ბუჩქები. კამარებს იქით ნაპირი და გადასახედი ვოლგაზე.

### გამოსვლა 1-ლი

კამარებს იქით მოსეირნე ქალ-ვაჟთა ჯგუფი ჩაივლის

1-ლი მოსეირნე — წამოწვიმა. ნეტავ კეჭა-ქუხილი მაინც არ იქნებოდეს.

2-ე მოსეირნე — ცას ვახედე, ვგონებ, მართლა აპირებს.

1-ლი მოსეირნე — კიდევ კარგი რომ თავშესაფარი მოგვეპოვება. (კამარას მიაშურებენ).

ქალი მოსეირნე — ხედავ, ხეივანში რამდენი ხალხი სეირნობს? უქმე დღე არის და ყველა გარეთ გამოფენილა. ხედავ, ვაჭრის ცოლები როგორ მორთულ-მოკაზმულან?

1-ლი მოსეირნე — თავს სადმე ისინიც შეაფარებენ.

2-ე მოსეირნე — შეხედე, როგორ აივსო ხალხით აქა-ურობა.

1-ლი მოსეირნე — (კედლებს ათვალეობს). როგორც ეტყობა, ჩემო ძმობილო, აქაურობა ოდესღაც მოხატული ყოფილა. ნახატები ალაგ-ალაგ ახლაც ემჩნევა.

2-ე მოსეირნე — კი, რა თქმა უნდა! ცხადია, მოხატული ყოფილა. ახლა კი ხედავ? როგორ მიტოვებული, დანგრეული და გაპარტახებულია აქაურობა, ხანძრის შემდეგ მისი შეკეთება არავის მოგონებია. შენ ის ხანძარი ალბათ არ გემახსოვრება, მას შემდეგ ორმოციოდე წელიწადი გავიდა.

1-ლი მოსეირნე — ნეტავ აქ რა ეხატა? ძნელი გამოსაცნობია.

2-ე მოსეირნე — ეს ცეცხლში მოგიზგიზე ჯოჯობეთია.

1-ლი მოსეირნე — დიახ, ჩემო ძმობილო!

2-ე მოსეირნე — და მიემართება იქით ყოველგვარი წოდების ხალხი.

1-ლი მოსეირნე — დიახ, დიახ, ახლა ყველაფერი გასაგებია.

2-ე მოსეირნე — და ყოველგვარი ხარისხისა.

1-ლი მოსეირნე — ზანგებიც?

2-ე მოსეირნე — ზანგებიც!

1-ლი მოსეირნე — ეს რაღაა, ჩემო ძმობილო?

2-ე მოსეირნე — ეს ლიტველთა დარბევაა. აქ მათთან ბრძოლაა გამოსატყულები. ხედავ? ასე ებრძოდნენ ჩვენები ლიტვას.

1-ლი მოსეირნე — ლიტვა რაღაა?

2-ე მოსეირნე — ლიტვა, ლიტვაა, სხვა არაფერი!

1-ლი მოსეირნე — ამბობენ, ჩემო ძმობილო, რომ თურმე იგი ციდან დაგვეცმია თავზე.

2-ე მოსეირნე — ვერაფერს გეტყვი. რაკი ციდანო, მაშ ციდან ყოფილა.

ქალი მოსეირნე — ამას რა ბევრი ლაპარაკი უნდა. ყველამ იცის, რომ ციდან არის ის მოვლენილი! სადაც ბრძოლა ყოფილა, იქ ამის ნიშნად ყორღანები აუშმართავთ.

1-ლი მოსეირნე — მაშ რა გეგონა, ძმობილო! ყველაფერი ზედმიწევნით სწორია.

### გამოსვლა მე-2

დიკოი და კულიგინი

დიკოი — დალახვროს ეშმაკმა, მაინც გავიწუწუე. (კულიგინს). თავი დამანებე, დამეხსენ მეტქი, (გაცხარებით) შე უტვინო ადამიანო!

კულიგინი — საველ პროკოფიჩ, თქვენო სიღარბაისლევ, ამით ხომ სარფას მოვიპოვებთ, მოსახლეობისთვისაც სასარგებლო იქნება.

დიკოი — იქით დამეკარგე! რა სარფაა, ან ვისთვის რა სასარგებლო?

კულიგინი — თუნდაც თქვენთვის, თქვენო სიღარბაისლევ, საველ პროკოფიჩ. აი ხეივანში, ვაკე ადგილზე რომ დაიდგას, შესანიშნავი რამ იქნება. მერე და რა ხარჯი უნდა? სრულიად უმნიშვნელო. ქვის პატარა სვეტი. (ყოველი ნივთის ხომას ხელით უჩვენებს). სპილენძის დაფა, ასეთი მრგვალი და აი, ასეთი სწორი სარქი. (ხელით უჩვენებს). სრულიად უბრალო. ყველაფერს ამას მე თვითონ მოვაწყობ, ციფრებსაც ზედ მევე ამოვჭრი. ვთქვათ, თქვენი სიღარბაისლე სეირნობს, ანდა სხვა ვინმე მოსეირნე; მიხვალთ, და ხედავთ დაუმაღვე შეიტყობთ რომელი საათია. მერე და რა მშვენიერი ადგილია, ყოველმხრივ თვალსაჩინო და მოტიტველბული კი არის. ჩვენს ქალაქშიც იციან მოგზაურებმა, თქვენო სიღარბაისლევ, გავლა და ქალაქის დათვალიერება. ჰოდა, კარგი იქნება, თვალს იამება.

დიკოი — რას გადამეკიდე მაგ რაღაც სისულელით! იქნებ შენთან ლაპარაკიც არ მსურს! ჯერ უნდა გაიგო, ვარ თუ არა იმ გუნებაზე, რომ შენისთანა ტუტუტუს ყური ვათხოვო! რა შენი ტოლი მნახე? ერთი ამას დამიხედეთ, რა დიდი საქმე გაიჩინა! პირდაპირ მოიწვეს ჩემსკენ თავისი ღინგით და მეტაასება!

კულიგინი — ჩემი პირადი საქმით რომ გაწუხებდეთ, მაშინ მტყუანი ვიქნებოდი, მაგრამ მე ხომ საყოველთაო სარგებლობისათვის ვცდილობ, თქვენო სიღარბაისლევ. მერე და რას წარმოადგენს საზოგადოებისათვის რაღაც ათიოდ მანეთი! მეტი საჭიროც არ იქნება.

დიკოი — ვინ იცის, შენ იქნებ ამ ფულის აწაპნეაც გინდა. რა ვიცი რა გაქვს გუნებაში.

კულიგინი — თუ შრომა მუქთად მინდა გავწიო, რაღა უნდა მოვიპარო, თქვენო სიღარბაისლევ? აქ ყველა მიცნობს და ჩემზე ცუდი არავის გაუგონია.

დიკოი — მერე რა, რომ ყველა გიცნობს! მე კი შენი ცნობაც არ მინდა.

ქულიგინი — რისთვის ინებებთ, საველ პროკოფიჩი, პატიოსანი კაცის აგრე ტყუილ-უბრალოდ შეურაცხყოფას?

დიკოი — ახლა ამისი ანგარიშიც მომთხოვე, შენ გაზრდას! შენზე საპატიო პირებსაც არ ვაბარებ ანგარიშს. მე ასე მინდა ვიფიქრო შენზე და ასეც ვფიქრობ. სხვებისთვის შეიძლება შენ პატიოსანი კაციც იყო, მე კი ვფიქრობ, რომ ავაზაკი ხარ, ყაჩაღი, მორჩა და გათავდა. გინდოდა ეს მოგესმინა ჩემგან? მაშინებე, დასტკბი! გეუბნები ყაჩაღი ხარ მეთქი, გესმის თუ არა?! როგორ? ჩივილს ხომ არ მიპირებ? ჰოდა, იცოდე, რომ ქია ხარ, ქიაყელა! მინდა დაგზოგავ, მინდა გაგსრესავ!

ქულიგინი — ეგრე რათ ცხარობთ, საველ პროკოფიჩი? მე ერთი პატარა კაცი ვარ, ჩემი წყენინება აღვილი საქმეა და არც გავიქირდებათ. მხოლოდ ერთს მოგახსენებთ, თქვენო სიღარბისლევ. შეიძლება ღარიბის ძონძებს ქვეშაც „იფარებოდეს საპატიო სიქველე და სათნოება“.

დიკოი — ნუ თავხედობ, თორემ ინანებ. გესმის?

ქულიგინი — არავეითარ თავხედობას მე არ ჩავდივარ. მე მხოლოდ იმიტომ მოგახსენებთ, რომ, ვინ იცის, იქნებ ოდესმე მაინც მოისურვოთ ქალაქისათვის რისიძე გაკეთება. შეიძლება დიდი გაქვთ, თქვენო სიღარბისლევ, ოღონდ საჭიროა, რომ სურვილი გქონდეთ კეთილი საქმის გაკეთებისა. აი, თუნდაც ეს: ჩვენში ხშირად იცის ქეჭა-ქუხილი, განა ცუდი იქნება, სახლებზე მეხთამრიდები რომ აემართოთ?

დიკოი — (ამყად). ყოველივეს ამოებაა!

ქულიგინი — როგორ თუ ამოება, როცა ცდები ჩაატარეს და ყოველივე საქმით გამართლდა!

დიკოი — აბა რა მეხთამრიდზე ლაპარაკობ, გამაგებინე? ქულიგინი — ფოლადის.

დიკოი — ეს არის სულ? მერე?

ქულიგინი — ფოლადის ჭოგრია საქირო!

დიკოი — (გული თანდათან მოსდის). ჰო, გავიგე რომ ჭოგრია, შე ასპიტო! მერე კიდევ რა? დაგიყინია — ჭოგრები! მერე, მერე რა?

ქულიგინი — მერე არაფერი.

დიკოი — ქეჭა-ქუხილი შენ რა გგონია? აბა მიპასუხე!

ქულიგინი — ელექტრობა.

დიკოი — (ფხვს უბაჟუნებს). ელექტრობა კი არა, ის მომკითხე ახლა! ამის შემდეგაც იტყვი, რომ შენ ყაჩაღი და ავაზაკი არა ხარ? ქეჭა-ქუხილი დასასჯელად, რისხვად გვევლინება ღვთისაგან, გვევლინება, რომ მისი ძალა ვიგრძნოთ, შენ კი რაღაც ჭოგრებით და ლატნებით გინდა ღვთის რისხვა მოიგერიო? შენ თათარი ხომ არა ხარ? იქნებ თათარი ხარ? ჰო, მიპასუხე! თათარი ხარ?

ქულიგინი — საველ პროკოფიჩი, თქვენო სიღარბისლევ, დერჟავინმა სთქვა: „მართალი არის, ჩემი სხეული იქცევა მტვერად, მაგრამ გონებით ვარ და ვიქნები მეხთა მბრძანებლად“.

დიკოი — ახი იქნება შენზე, ამ სიტყვებისთვის, ქალაქის უფროსს რომ მიგგვაროს კაცმა და მაგრა მოგხვდეს! ჰეი, პატივგემულნო, აბა ერთი ყური დაუგდეთ, ეს ვაჟბატონი რას მიედ-მოედება!

ქულიგინი — რა გავწყობა, უნდა გაეჩუმდე! როცა მილიონი მექნება, მაშინ მოგელაპარაკებთ. (ხელს ჩაიქნევს და გავა).

დიკოი — როგორ? მოპარვას აპირებს თუ? არ გაუშვიათ, დაიჭირეთ. დახე ამ გაიძვერა გლეხუქას! ასეთ ხალხს როგორ უნდა გაუძლოს ადამიანმა, სწორედ არ ვიცი! (მიმართავს ხალხს). ეი, თქვენ, წყულებო, ცოდვას ვის არ ჩაადენინებთ! რამდენი ვეცადე, რომ დღეს გული არ მომსვლოდა, იმ წყულებო კი, თითქოს განგებ იყო შემოჩენილი, მაინც ვამბარაზა. უი, იმას დასწყევლის ღმერთი! (გულმოსული). წვიმამ, მგონი, გადილო, არა?

1-ლი მოსერიჩე — დიახ, მგონი, შეწყდა.

დიკოი — მგონი! შე ქეუის კოლოფო, გადი და ნახე! თორემ რას ჰკავს: მგონი!

1-ლი მოსერიჩე — (გავა გარეთ). გადაუღია!

(დიკოი გადის და მას ყველანი მიჰყვებიან. სცენა რამდენიმე ხანს ცარიელია. სჩქაროდ შემოდის ვარვარა და ჩუმად უთვალთვალებს ვილაცას).

ბამოსვლა მ-3

ვარვარა და შემდეგ ბორისი

ვარვარა — მგონი, ის არის! (ბორისი სტენის სიღრმეში ჩაივლის). ს — სს! (ბორისი მოიხედავს). აქეთ მოიწი! (ხელით უხმობს. ბორისი უახლოვდება). რა ვქნათ, რა მოგუხერხოთ კატერინას? მითხარ, ლეთის გულისათვის, მითხარი!

ბორისი — რა მოუვიდა?

ვარვარა — სწორედ რომ უბედურება დაატყდა თავს. ქმარი ჩამოუვიდა. იქნებ არ იცი? არც კი ველოდით. ისე უეცრად ჩამოვიდა.

ბორისი — არა, არ ვიცი.

ვარვარა — ჰოდა, ამ ამბავმა მასზე საშინლად იმოქმედა, ხასიათი გამოიცვალა.

ბორისი — რა უიღბლო კაცი ვარ, ათი დღე-ღა მოვასწარ ნამდვილი ცხოვრება. ახლა ალბათ თვალთაც ვეღარ დავინახავ!

ვარვარა — უჰ, როგორი ხარ! შენ ყური მიგდე! სულ ცახცახებს, ცახცახებს ისე, თითქოს ციებ-ციხელება სჭირდეს გაფითრებულთა, ერთ ადგილას ვეღარ ისვენებს, წრიალებს თითქოს რაღაცას ეძებსო. თვალეები შეშლილს უგავს! ამ დღით ტირილს მოჰყვა. აქამდე ტიროდა. ღმერთო ჩემო, რა ვქნა, რა მოვახერხო!

ბორისი — იქნებ გაუაროს, დაშოშმინდეს?

ვარვარა — არა მგონია. ქმრისათვის შეხედვა ვერ გაუბედავს. დედაჩემმა ეს მაშინვე შეამჩნია. დადის და უბღვერის, თანაც თვალეებით გველივით შანთავს. საცოდავს ეს კიდევ უფრო ამწარებს. მისი ცქერით ადამიანი დაიწვება მართალი გითხრათ, შიშმა ამიტანა.

ბორისი — რის გეშინია?

ვარვარა — შენ მას არ იცნობ! უცნაურია! მისგან ყველაფერს უნდა მოელოდე. ვინ იცის, რას ჩაიდენს...

ბორისი — ოხ, ღმერთო ჩემო, რა ვქნა, რა ვიღონო! შენ მაინც მოვლაპარაკე რეგანად. ნუთუ არ შეიძლება როგორმე მისი დაშოშმინება?

ვარვარა — ვცადე, ყურიც არ მათხოვა. ახლოც არ გაციკარა.

ბორისი — მაინც რას ფიქრობ, რა შეუძლია ჩაიდინოს? ვარვარა — რა და, ჩაუვარდება ქმარს ფეხქვეშ და ყველაფერში გამოუტყდება. აი რის გეშინია.

ბორისი — (შეშინებული). ეს ყოველად დაუშვებელი ამბავია!

ვარვარა — მისგან ყველაფერს უნდა მოელოდე.

ბორისი — სად არის ახლა?

ვარვარა — ქმართან ერთად სეირნობს ხეივანში. დედაჩემი მათ ახლავთ. შენც ჩაიარე, თუ გინდა. თუმცა არა, უმჯობესია არ დავნახვო, თორემ სულ დაიბნევა. (შორეული ზრგვინა მოისმის). ქექა-ქუხილია! (ცას გახედავს). წვიმს. აჰა, ხალხიც გამოეშურა. სადმე მიიმალე, მეც აქვე ვიქნები, რომ არაფერი იფიქრონ.

(შემოდის სხვადასხვა სქესისა და წოდების ხალხი).

ბამოსვლა მ-4

სხვადასხვა პირები, შემდეგ კაბანიხა, კაბანოვი, კატერინა და კჟლიგინი

1-ლი პირი — ალბათ პეპელას ეშინია, თავშესაფარისაკენ ასეთი გამალეებით რომ მიეშურება.

ქალი — სადაც არ უნდა დაიმალო, ბედს მაინც ვერსად წაუხვალ.

კატერინა — (შემობრბის). ოხ, ვარვარა! (ხელს ხელში ჩაივლებს და მაგრად ჩაეჭიდება).

ვარვარა — კარგი, რა მოგდის!

კატერინა — სიკვდილის წერა ვარ!

ვარვარა — ჭკუა, გონება მოიკრიფე! სისულელე ნუ დავიყენია.

კატერინა — არა, არ შემიძლია, არაფერი არ შემიძლია! რარივად მტკივა გული.

კაბანიხა — საქმეც ის არის, ისე უნდა იცხოვრო, რომ ყოველ ეამს მზად იყო უფლის წინაშე წარსადგომად. მაშინ ასეთი შიშიც არ გექნება.

კაბანოვი — აბა რა ისეთი ცოდვა შეძლება ჰქონდეს მაგას, დედოკო? ალბათ ისეთივე, როგორც ჩვენ ყველას, შიში კი თანდაყოლილი თვისებაა.

კაბანიხა — შენ რა იცი! სხვისი გული ჯურღმულია.

კაბანოვი — (ხუმრობით). ჩემს აქ არყოფნის დროს თუ რამე მოხდა, არ ვიცი. მანამ კი, მგონი, არაფერი არ მომხდარა.

კაბანიხა — შესაძლოა შენს აქ არყოფნის დროს მოხდა, რა იცი?

კაბანოვი — (ხუმრობით). თუ რამე შეგიცოდავს, გირჩევ, გამოტყდე, ჩემო ძვირფასო. მე ხომ ვერაფერს დამიმაღავ. მიფრთხილდი, ყველაფერი ვიცი.

კატერინა — (კაბანოვს თვალღებში შესცქერის). ჩემო ძვირფასო!

ვარვარა — (კაბანოვს). რას მიედ-მოედლები? განა ვერ ხედავ, ისედაც უგუნებოდ არის.

(ბორისი გამოდის ჯგუფიდან და მიესალმება კაბანოვებს).

კატერინა — (შეჰკივლებს). ოხ!

კაბანოვი — რამ შეგაშინა? უცხო გეგონა? არა, ეს ჩვენი ნაცნობია! როგორ არის ბიძათქვენი?

ბორისი — ღვთის მოწყალებით არა უშავს.

კატერინა — (ვარვარას). კიდევ რა უნდა ჩემგან?.. ნუთუ საკმარისი არ არის, რაც ვიტანჯე?

ვარვარა — (ხმამალა, ისე რომ დედამ გაიგონოს). ისედაც გონებადაბნეულები ვართ და რა მოვეუხერხოთ არ ვიცით, აქ კი გარეშენიც აგვეტმასნენ.

(ბორისს ანიშნებს, ისიც გასასვლელისაკენ მიდის).

კულიგინი — (გამოდის შუა ადგილას და ხალხს მიმართავს) მითხარით ერთი, მითხარით, გეთაყვათ, რის გეშინიათ? თვითეული ბალახი, თვითეული ყვავილი ხარობს, განცხრომაშია, ჩვენ კი სადღაც ვიმალებით! ისე გვეშინია, თითქოს ჩვენ თავს ფათერაკი რამ ან ღვთის რისხვა იყოს. ვფიქრობთ, რომ მეხი, ან ქექა-ქუხილი მოგვეკვლავს. ის კი არა, მაღლი და ბარაქაა! დიახ, მაღლი. თქვენთვის კი ყველაფერი ღვთის რისხვაა! საცაა ცა ჩრდილოეთის ციხლით აინთება და მის მშვენებით უნდა ვტკბებოდეთ. განცვიფრებას უნდა ვეძლეო-

150

დეთ, ბუნების სიბრძნე გვაოცებდეს, გვაკვირებდეს, რომ ჩრდილოეთიდან აისი ბრწყინავს“. თქვენ კი სასოწარკვეთილებიაში ჩავარდნილხართ და შიშით რალაცას ვარაუდობთ, მკითხაობთ, ამბობთ: ომისა და შავი ჭირის მომასწავებელიაო! კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდება, თვალს ვერ მოაშორებს კაცი, ისეთი მშვენიერებაა! ვარსკვლავებს თვალი შეჩვეულია, ეს კი უცხო რამ არის. თქვენ კი ზევით ვერ აგიხედავთ და შიშით ცახცახებთ! თქვენთვის ყველაფერი საფრთხობე-ლაა. ეხ, ხალხნო, ხალხნო! მე კი არაფრის მეშინია. წავიდეთ, ბატონო!

ბორისი — წავიდეთ, წავიდეთ! აქ მართლაც რომ საშინელებია! (გაღიან).

### გამოსვლა მე-5

იგინივე, ბორისისა და კულიგინის გარდა

კაბანიხა — ეს რა ლათაია გააბა? მისი მოსმენაც არ შემიძლია! რა დრო დადგა, როგორი მასწავლებლები მოგვევლინენ! ხნიერი კაცი ასე რომ იმსჯელებს, ახალგაზრდებს რაღა უნდა მოვთხოვოთ.

ქალი — ცა ღრუბლებით სულ დაიბურა. ისე მოიღრუბლა, თითქოს ცას ქული დაახურესო.

1-ლი პირი — ხედავ, ჩემო ძმობილო, ღრუბლები როგორ მორგვევით ეხვევიან და ისე ფართხალებენ, თითქოს შიგ სულიერი იყოს მოთავსებული. დახე, ჩვენკენ როგორ ცოცხალი-ვით მოექანება.

2-ე პირი — დაიხსომე ჩემი სიტყვა, — ეს ქექა-ქუხილი ტყუილად არ ჩაივლის. უსათუოდ მეხი გაგარდება. ვიცი და იმიტომაც გეუბნები. — ან მოჰკლავს ვინმეს, ან სახლს დასწავს. ნახავ თუ ასე არ მოხდება. შეხე, ცა როგორი უჩვეულო ფერისაა!

კატერინა — (საუბარს მიაყურებს). რას ლაპარაკობენ, ვინმეს მოკლავსო?

კაბანოვი — სისულელეს ლაყობობენ, რაც თავში გაუელ-გებთ, იმას ყბედობენ.

კაბანიხა — აბა, შენ აქ ჩვენ, ხნიერებს, ნუ გეძრახავ! მათ შენზე მეტი იციან. მოხუცები მუდამ გამოცდილნი და

დაკვირვებულნი არიან. ყველაფერს თავისი ნიშანი აქვს და უბრალოდ არას იტყვიან.

კატერინა — (ქმარს). ტიხონ, მე ვიცი ვისაც მოკლავს ეს მენი.

ვარვარა — დაჩუმდი მაინც!

კაბანოვი — შენ რა იცი?

კატერინა — ვიცი, მე მომკლავს. ილოცეთ ჩემთვის!

(შემოდის ქალბატონი ლაქიებით. კატერინა შეგვივლებს და მიიმალება).

### გამოსვლა მე-6

იგინივე და ქალბატონი

ქალბატონი — რას იმალები, რას? ალბათ გეშინია: სიკვდილი არ გინდა, ხომ? გინდა იცოცხლო? რა თქმა უნდა! დამიხედეთ რა მზეთუნახავია! ხა-ხა ხა, რა მშვენიერი რამარის! ღმერთს შეევედრე, რომ ეგ სილამაზე წაგართვას! სილამაზეა ჩვენი დამლუპველი! თავსაც დალუპავ, ხალხსაც შეაცდენ, — ჰოდა, მაშინ იხარე მაგ შენი სილამაზით. ბევრს, ძალიან ბევრს შეაცდენ და წაწყემდ მაგ შენი სიტურფით. ქარიფანტიები ერთმანეთს ხმალში იწვევენ, ერთურთს ხოცავენ. ღმერთო, რა მხიარულებაა! სიკვდილი ღვთის მოშიშ მოხუცებსაც დავიწყებით და სილამაზისკენ მიილტვიან. მერე და ვინ უნდა ზღოს ყოველივე? შენ უნდა ზღო! უმჯობესია მორევში გადაეშვა, ოღონდ მალე, ნუ აყოვნებ! (კატერინა შიშით იმალება). სად იმალები, ბრიყვო, სად? ღმერთს მაინც ვერ დაემალები! (მეხის გავარდნა). ყველანი გაუნელებელ ცეცხლში ჩაცვივით, დაიწვებით. (მიდის).

კატერინა — ოხ! ეკვდები!

ვარვარა — მართლაც და, რა გემართება! განზე მიდექი და ილოცე, იქნებ დაშოშმინდე.

კატერინა — (კედელთან მუხლებზე დაეშება, მერე უცებ წამოდგება). ოხ, რა ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთი! ვიწვი! გულს გენია შემომნთებია! (კაბანოვი, კაბანიხა და ვარვარა გარს შემოეხვევიან). გული ამომეარდა! მეტს ვერ ავიტან, ვერა! დედილო! ტიხონ! მე ცოდვილი ვარ ღმერთისა და თქვენს წინაშე! განა მე არ

ვიყავი, რომ შემოგფიცე, არავის შევხედავ მეოქი! ხომ გახსოვს? მაგრამ, იცი, მე უნამუსომ, შენს აქარყოფნაში რა ჩავილინე? პირველ ღამესვე დავტოვე სახლი...

კაბანოვი — (დაბნეული, თვალცრემლიანი, სახელურში ხელით წვდება). ნუ, ნუ! არ გინდა! ნუ ილაპარაკებ! ხომ იცი, რომ აქ დედაჩემია.

კაბანიხა — (მაცრად). აბა, აბა! ილაპარაკე, რაკი დაიწყე, თქვი ყველაფერი, ყველაფერი უნდა თქვა.

კატერინა — და ათივე ღამე ვიმრუშე... (ქვითინებს. კაბანოვს უნდა მოეხვიოს).

კაბანიხა — თავი დაანებე! ვის ეხვევი?

ვარვარა — სტყუის, სტყუის! თვითონაც არ იცის, რას ლაპარაკობს!

კაბანიხა — ხმა ჩაიწყვიტე! აი, რაში ყოფილა საქმე! აბა ერთი ისიც სთქვი ვისთან იმრუშე?

კატერინა — ბორის გრიგორიჩთან. (მეხის გავარდნა. ოხ! (უგონოდ დაეცემა ქმრის ხელზე).

კაბანიხა — ხედავ, ყმაწვილო! აი, საით მიგყევართ თვითნებობას! გეუბნებოდი, ჩაგჩიჩინებდი და შენ კი ყურს მაინც არ მიგდებდი. ახლა რას იტყვი?

## მოქმედება მისთვის

პირველი მოქმედების დეკორაცია. დაისი.

### გამოსვლა 1-ლი

კულიგინი მერხზე ზის, კაბანოვი ხეივანში გამოჩნდება

კულიგინი — (მღერის):

„ღამის წყვილი ეფინება ზეცისა თალებს,  
აღამიანი დაქანცული მილულავს თვალებს“ და სხვა.

(დაინახა კაბანოვი). გამარჯვება, ბატონო! საით გასწიეთ?

კაბანოვი — შინისკენ. გაიგე, ძმობილო, ჩვენი ამბავი?  
მთელი ოჯახი აფორიაქდა.

კულიგინი — დიახ, გავიგე, გავიგე, ჩემო ბატონო!

კაბანოვი — მოსკოვში რომ ვიმგზავრე, ისიც გეტოლინება.  
დედაჩემმა გზისთვის ხანგრძლივად და თან გულმოდგინედ და-  
მარიგა, მე კი, როგორც ჩავედი, ხელი ქეიფს და დროს ტა-  
რებას მივყავი. მიხაროდა, რომ ჩემს ნებაზე ვიყავი მიშვებული.  
მთელი გზა ვსვი, მოსკოვში ჩავედი, ვსვი; გაბმით ვიქეიფე,  
გული ისე ვიჯერე; რომ ერთ წელს მეყოფა. სახლი ერთ წა-  
მითაც არ მომგონებია; რომ გამხსენებოდა კიდევ, რას მო-  
ვისაზრებდი, როგორ წარმოვიდგენდი რა ხდებოდა აქ. მაშ  
კარგად იცი რაც მომივიდა, ხომ?

კულიგინი — დიახ, დიახ!

კაბანოვი — ახლა მე, ჩემო ძმობილო, ერთი უბედური  
კაცი ვარ, უბედური.

კულიგინი — მეტიანეტად მკაცრი დედა გყავთ.

კაბანოვი — დიახ. იმის მიზეზით მოხდა ყველაფერი და  
მე რილასთვის ვიღუპები, მითხარ, ღვთის გულისათვის, მით-  
ხარი, რისთვის? დიკოისთან შევიარე, დავლიეთ; ვიფიქრე  
გულს მომიშვება მეოქი, მაგრამ არა, კულიგინ, პირიქით უა-

რესად გავხდი. ეს რა მიყო ცოლმა, რა მიყო! უარესი არ  
შეიძლება...

კულიგინი — თავსამტკრევი საქმეა, დახლართული. ძნე-  
ლია თქვენი განსჯა.

კაბანოვი — ამაზე უარესი რა უნდა მოუვიდეს კაცს?  
სიკვდილიც ცოტაა მისთვის. დედაჩემი ამბობს: ცოცხლად  
უნდა ჩამარხო მიწაში. მე კი მიყვარს და თითოც ვერ და-  
მიკარება. იცი? ცოტათი მაინც ვცემე, ისიც დედის ბრძა-  
ნებით. დედის ნებას ვეღარ გადაველ, თუმცა კატერინა მე-  
ცოდება, კულიგინ, მეცოდება. დედაჩემი ცოცხლად სჭამს იმ  
საცოდავს, ის კი აჩრდილივით დადის ხმის ამოუღებლად.  
ტირის, სანთელივით დნება. მისი ცქერით გული მიკვდება.

კულიგინი — როგორმე მშვიდობიანად მოათავეთ ეგ საქ-  
მე, ჩემო ბატონო. თქვენც აპატიეთ და ნურც ნურასოდეს  
გაახსენებთ. განა თქვენ თვითონ უცოდველი ხართ?

კაბანოვი — რა სათქველია!

კულიგინი — მთვრალიც რომ იყოთ, საყვედურს ნუ ეტყ-  
ვი. კარგი ცოლი შეიქმნება, საუკეთესო, აი ნახათ.

კაბანოვი — გაიგე, კულიგინ, მე რა... მე მზად ვარ, მაგ-  
რამ დედაჩემს რა ვუყო? განა იმისი დაყოლიება ეგრე ადვი-  
ლია!

კულიგინი — დროა, ბატონო, თქვენი ქუთით იცხოვ-  
როთ.

კაბანოვი — რა ვქნა, ორად ხომ ვერ გავიჭრები. საკუ-  
თარი ქუთა სად გაქვსო, მეუბნებიან. მთელი შენი სიცოცხლე  
სხვისი ქუთით უნდა იცხოვროო. მე კი აი რას ვიზამ, რაც  
მებაღია სმაში გავანიავებ, ბოლოს მოვუღებ. მერე მოდგეს  
დედაჩემმა და მილოლიავოს, როგორც ბრწყვს.

კულიგინი — ეხ, ბატონო! ვერ არის კარგი საქმე! ბო-  
რის გრიგორიჩმა რაო?

კაბანოვი — წინ წყალი და უკან მეწყერი, ეშმაკსაც წაუ-  
ღია მისი თავი და ტანი! ბიძამისი სადღაც ნაცნობ ვაჭარ-  
თან გზაენის კანტორაში. სამი წლის ვადი უკრა იქ თავი.

კულიგინი — რაო, ის რაღას ამბობს?

კაბანოვი — ისიც შფოთავს, ტირის. იცოცხლე, მე და



ბიძამისმა იმას შავი ღლე დავაყენეთ: ვაგინეთ, ვლანძღეთ, ვაბიაბრუეთ. ის კი სდუმს, ხმას არ იღებს. რაღაც ველურს დაემსგავსა. მე რაც გინდათ ის მიყავითო, მხოლოდ იმას ნუ აწვალებთო. იმასაც ებრალება.

კულიგინი — კარგი ადამიანია, ჩემო ბატონო.

კაბანოვი — სამგზავროდ უკვე გაემზადა. ცხენებიც შებმულია. ძალიან დარდობს. ვატყობ, უნდა გამოეთხოვოს, მაგრამ ვერ მივართვით! ეყოფა რაც ინებივრა! ის ხომ ჩემი მტერია, კულიგინ, ნაკუწ-ნაკუწად ასაკეპავი! რომ იცოდეს...

კულიგინი — მტერს უნდა შეუნდო, ჩემო ბატონო!

კაბანოვი — აბა, დედაჩემთან გაამხილე ეგ აზრი და მაშინ ნახავ, რა პასუხსაც მიიღებ. ეხ, ძმაო კულიგინ, დაირღვა ჩვენი ოჯახი, ისე ვართ, თითქოს ნათესავები კი არა, დაუძინებელი მტრები ვიყოთ ერთმანეთისთვის. დედაჩემმა ვარჯა-რასაც იმდენი უღრანა, იმდენი უღრინა, რომ ბოლოს ვერც იმან აიტანა. ის ხომ ისეთია, — დაჰკრა ფეხი და შინიდან გაიქცა.

კულიგინი — სად წავიდა?

კაბანოვი — ვინ იცის. ამბობენ, ვინა კულდრიაშთან ერთად გაიქცაო, ვერსად იპოვეს. გულახდილად უნდა გითხრა, კულიგინ, რომ ესეც დედაჩემის ბრალია. აწამებდა, ტანჯავდა, შინ ურდულით ჰყავდა გამოკეტილი. „ნუ მკეტავთო“ ამბობდა, „უარესს ვიზამო“. და აი, ასრულდა კიდეც. აბა, შენ თვითონ მითხარი, რა ვქნა მე ასლა? მასწავლე, კკუაზე დამარიგე, მირჩიე როგორ ვიცხოვრო? სახლი შემძაგდა, ხალხის მრცხვენია, საქმეს გულს ვერ ვუღებ. ახლა შინ მივდივარ და გგონია მიხარია? (შემოდის გლაშა).

გლაშა — ტიხონ ივანჩი!

კაბანოვი — მოხდა კიდე რამე?

გლაშა — უბედურება, უბედურება დატრიალდა ჩვენს ოჯახში.

კაბანოვი — ღმერთო, როგორ ზედიზედ! თქვი, რა მოხდა?

გლაშა — თქვენი მეუღლე...

კაბანოვი — რა მოხდა? მოკვდა?

გლაშა — არა, საღვალად წავიდა. მის კვალს ვერსად ვერ მივაგენით, ფეხები დაგვატყდა მის ძებნაში.

კაბანოვი — კულიგინ, უნდა გავიქცე და ვეძებო. იცი, ძმაო, რის მეშინია? ვაი თუ თავი მოიკლა დარდისაგან. ისე დარდობს, ისე დარდობს, რომ გული მეთუთქება. თქვენ რაღას უყურებდით? დიდიხანია რაც შინიდან გავიდა?

გლაშა — არა, დიდიხანი არ არის! ჩვენი ბრალი კია, თვალყური ვერ მივადენეთ. ისიც უნდა ითქვას, რომ ყოველ წუთსა და ყოველ წამს ხომ ვერ უყარაულე.

კაბანოვი — მაშ რას უდგებხარ, გაიქცი! (გლაშა გადის). ჩვენც წავიდეთ, კულიგინ!

(გადიან. სცენა რამდენიმე ხანს ცარიელია. მოპირდაპირე მხრიდან ნელი ნაბიჯით გამოდის კატერინა).

## გამოსვლა მე-2

კატერინა მარტო<sup>1</sup>

კატერინა — არსად არ არის! ნეტავ რა ღლეშია საბრალო! გამოვეთხოვებოდი მხოლოდ და მერე... თუნდაც მოკვდე. რათ ჩავაგდე, რათ, ასეთ განსაცდელში? განა ამით მე რამე შემომსუბუქდა? მარტო უნდა დავლუპულიყავ, თორემ რა გამოვიდა? ისიც დავლუპე, ჩემი თავიც. მეც შევრცხვი, სახელი გავიტეხე, გზა იმასაც გავუმრუდე! დიახ, სახელი გავიტეხე და იმას გზა გავუმრუდე! (დუშილი). ის მაინც მომაგონდებოდეს რას მეუბნებოდა, როგორ ვებრალებოდი, რა სიტყვებს მელაპარაკებოდა? (თავზე ხელს წაიფეხს). არ მახსოვს. ყველაფერი დამავიწყდა. ღამით, ღამით ძალიან მიმძიმს! ყველანი წავლენ დასაძინებლად, მეც წავალ. იმათ რა უშავთ, მე კი თითქოს საფლავში ვწევები. ვერ ვიტან სიბნელეს, შიში მიპყრობს. ჯერ ხმაური მომესმის, შემდეგ გალობა, აი ისეთი, როცა ვინმეს მიასვენებენ, მხოლოდ ისეთი წყნარი, რომ ოდნავ გესმის, თითქოს შორიდან გესმის... განთიადს სიხარულით ვეგებები, მაგრამ აღგომა არ მინდა, რადგან იგივე ხალხი, იგივე სიტყვები, იგივე წამება! რად მიცქერიან ასე? ამბობენ, წინათ ჩემისთანებს კლავდენო. მოხარული ვიქნებოდი, რომ ამი-

<sup>1</sup> მთელ ამ მონოლოგს წარმოსთქვამს გაჭიანჭურებულად, სიტყვათა განმეორებით, ჩაფიქრებული, თავდავიწყებით.

ლებდნენ და შუავოლგაში გადამავდებდნენ. უფრო რომ გაწამოთო, მეუბნებიან, ცოლვა მოგესხნებაო. უნდა იცოცხლო, დარჩე და ვგრე ეწამოო, შენის ცოდვით ვგრე დაიწვიო. უკვე ვეწამე, დავიტანჯე! ნეტავ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს წამება? რისთვის უნდა ვიცხოვრო ამას იქით? რისთვის? არაფერი არ მინდა, არაფერი არ მახალისებს! ქვეყანა შემძაგდა! სიკვდილი კი არ მოდის. ვუხზობ, ვეძახი, ის კი არ მოდის! რაც უნდა გავიგონო, რაც უნდა დავინახო, ყველაფერი გულს მიგმირავს. (გულზე ხელს იდებს). მასთან რომ მეცხოვრა, რაიმე სიხარული იქნებ მეგრძნო... სულერთია, სული წავიწყმიდე. ოხ, როგორ აკლია იგი ჩემ გულს! ოხ, როგორ მომეწყინა უმისოდ! თუ ჩემი თვალები მას ვერ იხილავენ, დაე აქედან მაინც გაიგონოს ჩემი ძახილი. მძაფრო ქარებო, თქვენ მაინც მიიტანეთ, მიაწვდინეთ მის ყურთასმენას ჩემი გულის დარდი, ჩემი ვარამი! ოჰ, ღმერთო, როგორ მიკვდება გული! (მდინარის ნაპირს უახლოვდება და სრულის ხმით გასძახის). ჩემო სიცოცხლე, ჩემო სიხარულო, ჩემო სულო და გულო, მე შენ მიყვარხარ! გესმის? ხმა გამე! (ტირის. შემოდის ბორისი).

### გამოსვლა მე-3

კატერინა და ბორისი

ბორისი — (ვერ ამჩნევს კატერინას). ღმერთო ჩემო, ეს ხომ მისი ხმაა! ნეტავ სად არის? (მიმოიხედავს).

კატერინა — (მიორბენს მასთან და კისერზე მოუხვევა). ხომ მაინც განახე, განახე! (მის გვერდზე მიყრდნობილი ტირის, დუმილი).

ბორისი — გული მაინც ვიჯეროთ ტირილით! ღმერთმა ისევ შეგვეყარა.

კატერინა — არ დავავიწყდი?

ბორისი — როგორ თუ დამავიწყდი, რას ამბობ?

კატერინა — ოხ, არა, ამის კითხვა როდი მინდოდა! ხომ არ მიჯავრდები?

ბორისი — რათ უნდა გავიჯავრდე? რათ უნდა გავიწყრე?

კატერინა — მაპატიე! მე შენთვის ცუდი როდი მინდოდა, მაგრამ ყოველივე ეს ჩემს უნებურად მოხდა. რას ვამბობდი არა გამეგებოდა რა.

ბორისი — კარგი ერთი! კარგი!

კატერინა — ახლა რას ფიქრობ? რას აპირებ?

ბორისი — მივემგზავრები.

კატერინა — საით მივემგზავრები?

ბორისი — შორს, კატერინა, შორს, ციმბირში.

კატერინა — მეც თან წამიყვანე.

ბორისი — არ შემძლია, კატერინა. ჩემი ნებით როდი მივდივარ, ბიძა მგზავნის. ცხენები უკვე შებმულია, მხოლოდ ერთი წუთით დავეთხოვე, მინდოდა იმ ადგილს მაინც გამოეთხოვებოდი, იმ ადგილს, სადაც მე და შენ ერთმანეთს ვხვდებოდით...

კატერინა — ღმერთმა მშვიდობის გზა მოგცეს! ჩემზე ნუ იდარდება. პირველად შეიძლება მოგეწყინოს, იღარღო, მაგრამ შემდეგ გულს თანდათან გადააყოლებ, დავავიწყდები.

ბორისი — ჩემზე ნუ ფიქრობ! მე ჩიტოვით თავისუფალი ვარ. შენ? შენ როგორ იქნები? დედამთილი რა გუნებაზეა?

კატერინა — სიცოცხლეს მიმწარბებს, ცხრაკლიტულში მამწყვდევს. ყველას ეუბნება, ქმარს ჩასჩიჩინებს: „სანდო არ არის, გაიძვერააო“. აჩრდილივით დამდევენ. პირში დამცი-ნიან. ყოველ სიტყვაზე შენ თავს მაკვედრიან.

ბორისი — ქმარი?

კატერინა — ხან მეაღერსება, ხან ბრაზობს. გამუდმებით სვამს. შემძულდა, ვერ ვიტან, მისი აღერსი გველის კბენად მეჩვენება.

ბორისი — დიდ ტანჯვაში ხარ? გიმძიმს ხომ, კატერინა?

კატერინა — რა საკითხავია! ტანჯვაში ვარ და მერე როგორ ტანჯვაში! სიკვდილი ხსნა იქნებოდა ჩემთვის.

ბორისი — რა ვიცი, თუ სიყვარული ჩავგვხამდებოდა!

კატერინა — რა სავაგლახოდ შევხვდით ერთმანეთს. სიხარული ხანმოკლე მქონდა; სიმწარე, ვარამი დამრჩა დაუსრულებელი. დეე, რაც მომიევა მომივიდე! ამაზე ფიქრიც არ მინდა. ახლა ხომ გხედავ, ამ სიხარულს ვერ წამართმევენ, ვერა და მე სხვა არა მინდა რა. მე მხოლოდ შენი ნახვა მწყურ-როდი. ახლა თავს კარგად ვგრძნობ; თითქოს გულიდან ლოდი ჩამოვიშორე. მე კი სულ იმას ვფიქრობდი, რომ

ჩემზე გაჯავრებული ხარ და წყევლა-კრულვას მითვლიდი...  
ბორისი — რას ამბობ? აბა რას ამბობ?

კატერინა — მართლაც, რას ვამბობ! სულ სხვა რამ მქონდა  
სათქმელი. მომენატრე, გესმის, მომენატრე! აი, რა უნდა მეთქ-  
ვა, ახლა გნახე და...

ბორისი — ნეტავ აქ მაინც არ მოგვისწრებდნენ...

კატერინა — დაიცა, დაიცა! რალაც მინდოდა შენთვის მეთ-  
ქვა. როგორ დამავიწყდა! რალაც უნდა მეთქვა! სულ თავში  
მიტრიალებდა და ახლა ველარ ვიგონებ.

ბორისი — ჩემი წასვლის დროა, კატერინა!

კატერინა — დაიცა, ცოტაც დაიცა!

ბორისი — რა გინდოდა ჩემთვის რომ გეთქვა?

კატერინა — ახლავე გეტყვი! (დაფიქრდება). ჰო, აი რა!  
გზაში რაც მათხოვარი შეგხვდეს, არც ერთი არ გამოსტოვო,  
ყველას მიეცი სამოწყალო, თანაც უბრძანე ილოცონ ჩემი  
ცოდვილი სულის მოსახსენებლად.

ბორისი — ღმერთო, რომ იცოდნენ რა მძიმეა ჩემთვის  
შენი დათმობა... შენთან გამოთხოვება! ღმერთმა იმათ ნუ მოუ-  
შალოს ისეთი სიტუაცია, როგორსაც ახლა მე განვიცდი. მშვი-  
დობით, კატია! (მოეხვევა და უნდა წავიდეს). უჰ, თქვე მტარვალე-  
ბო, არამზადებო! უჰ, ნეტავ ერთი ძალა შემწვედეს!

კატერინა — დაიცა, ცოტაც დაიცა! ერთხელ კიდევ შე-  
მოგხედო, უკანასკნელად! (ჩასტეხის თვალბეჭში). კარგი, მეყოფა!  
შეგძლია წახვიდე. ღმერთმა კეთილად გატაროს. წადი, მალე  
წადი!

ბორისი — (გაივლის რამდენიმე ნაბიჯს და შედგება). კატე-  
რინა, გული ცუდს მიგრძნობს. ხომ არაფერი განგიზრახავს?  
გზაში შენი დარდით დავიტანჯები.

კატერინა — არაფერია, არაფერი! წადი, ღვთით იარე!  
(ბორისს უნდა რომ მასთან მივიდეს). ნუ, ნუ... არ მინდა! კმარა,  
გეყოფა!..

ბორისი — (ჭვთინით). ღმერთი გფარვიდეს, ღმერთი იყოს  
შენი შემწე! ერთი რამ უნდა ვთხოვო უფალს, რომ მალე მი-  
იბაროს ეგ სული, რომ დიდხანს არ იტანჯო... მშვიდობით!  
(თავს უკრავს).

კატერინა — მშვიდობით!

(ბორისი გადის. კატერინა თვალს გააყოლებს და რამდენიმე წამს ჩაფიქ-  
რებული დგას).

#### გამოსვლა 80-4

კატერინა — (მართლაც). სად წავიდე? შინ? არა, შინ ველარ  
მივალ. იქ მისვლა საფლავში ჩასვლას უდრის, გინდ შინ ყო-  
ფილხარ და გინდ საფლავში, სულერთია. საფლავში მირჩე-  
ვია. ხის ქვეშ სამარე... რა კარგია!.. მზე სხივებს დააფრქვევს,  
ეუფუნა წვიმა დანამავს... გაზაფხულზე ბალახი მწვანედ აბი-  
ბინდება... ხეზე ფრინველები შემოსხდებიან, იგალობებენ,  
ბარტყებს გამოსჩევენ, ყვავილები გაიფურჩქნება: ყვითელი, წი-  
თელი, ცისფერი... ნაირ-ნაირი... (ჩაფიქრდება). ნაირ-ნაირი...  
ირგვლივ მყუდროება... სიმშვიდე! თითქოს გულს მომეშვა!  
სიცოცხლეზე ფიქრიც არ მინდა... ვიცოცხლო? არა, არა,  
არ მინდა... რა საჭიროა! ხალხიც შემძაგდა. სახლიც შემ-  
ძაგდა... მისი კედლებიც მძულს, მეჯავრება. არა, იქ არ  
წავალ! მიხვალ მათთან — ისინი დადიან, საუბრობენ. მე კი ეს  
სულ აღარ მინდა! უჰ, დავბინდდა! სადღაც მღერიან. რას მღე-  
რიან? ვერ ვარჩევ... აი ახლა რომ მოგკვებოდნენ... ნეტავ რას  
მღერიან? სულერთია, სიკვდილი მოვა შენთან თუ შენ მიხვალ  
მასთან... სიცოცხლე ჩემი შეუძლებელია. ცოდვა! არ ილო-  
ცებენ? ვისაც ვუყვარვარ ის ილოცებს... ხელებს გულზე და-  
მიკრეფენ... მერე კუბოში! ოჰ, ისევ მომავინდა... რომ დამი-  
ქირონ, შინ იძულებით რომ მიმიყვანონ... ოხ, ჩქარა... ჩქა-  
რა! (ნაპირს უახლოვდება. ხმამაღლა). ჩემო მეგობარო! ჩემო სი-  
ხარულო! მშვიდობით საუკუნოდ! (მიდის. შემოდინ კაბანოვი,  
კაბანიხა, კულიგინი და მუშა ფარნით).

#### გამოსვლა 80-5

კაბანოვი, კაბანიხა და კულიგინი

კულიგინი — ამბობენ, რომ აქ უნახავთ.

კაბანოვი — ნუთუ მართლა?

კულიგინი — სწორედ ასე სთქვებს.

კაბანოვი — მადლობა ღმერთს, რაკი ცოცხალი უნახავთ.

კაბანიხა — შენ კი შეშინდი, ატირდი, ცრემლად დაი-  
ვარე! საქმე გამოგლევია. ფიქრი ნუ გაქვს! ჯერ კიდევ დიდ-  
ხანს მოვუწნდებით მასთან ლოლიავს...

კაბანოვი — ვინ მოიფიქრებდა, რომ ის აქ მოვიდოდა! აქ მუდამ ხალხი ირევა. რას წარმოვიდგენდი, რომ აქ დამალვას მოიფიქრებდა.

კაბანიხა — ხომ ხედავ, რას გეიშვრება! შხამსა და სამსალას როგორ გვილესავს! ხედავ, ჯიბრს როგორ გვიწევს?

(სხვადასხვა მხრიდან შემოდის ხალხი ფარნებით).

ხმა ხალხიდან — რა?.. იპოვეთ?

კაბანიხა — საქმეც ის არის, რომ ვერ ვიპოვეთ! თითქოს მიწამ უყო პირი.

ხმები — დავიდარაბა თუ გინდა, ეს არის. მოდი და თავი იმტვრიე ახლა, იფიქრე, სად უნდა იყოს.

1-ლი ხმა — ნუ გეშინიათ, გამოჩნდება!

2-ე ხმა — რა თქმა უნდა, გამოჩნდება. ვიპოვით!

3-ე ხმა — შეიძლება, თვითონაც მოვიდეს.

ხმა სცენის გარეთ — ეი, ნავი, ნავი ჩქარა!

კულიგინი — (ნაპირიდან). ვინ არის? რა მოხდა?

ხმა — ქალი წყალში ჩაეარდა!

(კულიგინი და რამდენიმე კაცი გარბიან).

### გამოსვლა მე-6

იგინივე კულიგინის ვარდა

კაბანოვი — ღმერთო ჩემო, ეს ხომ კატერინაა! (უნდა გაიქცეს, მაგრამ კაბანიხა არ უშვებს). დედილო, გამიშვი, გამიშვი, გემუდარები!.. მე ამოვიყვან, ან თვითონაც... რას ემსგავსება ჩემი სიცოცხლე უმისოდ!

კაბანიხა — არსადაც არ გავიშვებ! განა ღირს იმისთვის თავის განწირვა! განა ცოტა სირცხვილი გვაქვამა, რომ ესეც ჩაედინა?

კაბანოვი — გამიშვით!

კაბანიხა — საქმეს უშენოდაც კარგად მოაგვარებენ. არ წახვიდე, თორემ დაგწყევლი.

კაბანოვი — (მუხლებზე დაეცემა). ერთხელ მაინც შევხედო!

კაბანიხა — როცა ამოათრევენ, შეხედავ.

კაბანოვი — (დგება. ხალხს მიმართავს). გეთაყვათ, ვერაფერს ხედავთ?

1-ლი ხმა — ისე ბნელა, რომ ვერაფერს ვხედავ.

(უკლისიდან ხმაურობა ისმის).

2-ე ხმა — თითქოს რალაცას იძახიან, მაგრამ სიტყვას ვერ ვარჩევ.

1-ლი ხმა — ეს ხომ კულიგინის ხმაა.

2-ე ხმა — ნაპირზე ვილაცა ფარნით დადის.

1-ლი ხმა — აქეთ მოდიან. აი მოაქვთ კიდეც. (რამდენიმე კაცი უკანვე ბრუნდება).

ერთი დაბრუნებული თაგანი — ყოჩაღ კულიგინ! აქვე, ნაპირთან, მორევს ჩაეხვია; ცეცხლის შუქზე წყალში შორს სჩანს; ჰოდა, კაბას მოკრა თვალი, ამოიყვანა.

კაბანოვი — ცოცხალია?

მეორე დაბრუნებული თაგანი — ცოცხალი საიდან იქნება! უფსკრულზე გადამხტარა და ღუზას დანარცხებია. ალბათ, ძალზე დაშავდა საწყალი! ისე კი სულ ცოცხალსა ჰგავს! საფეთქელზე აქვს მხოლოდ პატარა ჭრილობა და ერთი წვეთი სისხლისა. (კაბანოვი გაიქცევა. კულიგინს და ხალხს შემოაქვთ კატერინა).

### გამოსვლა მე-7

იგინივე და კულიგინი

კულიგინი — აი თქვენი კატერინა. რაც გინდათ, ის უყავით! მისი სხეული აქ არის და წაიღეთ, ხოლო მისი სული თქვენ აღარ გეკუთვნით. ის ისეთი მსაჯულის წინაშე დგას, რომელიც თქვენზე შემბრალებ და ღმობიერია.

(გვამს მიწაზე დასვენებს და გაიქცევა).

კაბანოვი — (შივარდება კატერინას). კატია, კატერინა!

კაბანიხა — კარგი, გეყოფა! მაგის ტირილიც ცოდვაა!

კაბანოვი — დედილო, თქვენ დალუპეთ იგი! თქვენ, თქვენ...

კაბანიხა — რაო, ეს რა მესმის? შენ ხომ არ გავიწყდება ვისთან ლაპარაკობ?

კაბანოვი — დიახ, თქვენ დალუპეთ! თქვენ, მხოლოდ თქვენ!

კაბანიხა — (შივლს). მე შენ აქ კი არა, შინ მოგელაპარაკები. (ხალხს თავს მდაბლად უკრავს). გმადლობთ, კეთილნოხალხნო, გმადლობთ, რომ ეგრე გაისარჯეთ (ველანი სალამს აძლევს).

კაბანოვი — შენ ბედნიერი ხარ, კატერინა, ბედნიერი! მე კი რად დავრჩი ცოცხალი, რად? რა დამრჩენია ქვეყანაზე წამების მეტი! (ცოლის გვაშს ხედ დაეცემა).